რედაქციის ადრესი: ორბელიანის ქუჩა 6.

რედაქტორთან მოლაპარაკება შეიძლება
ამშაბათობით და შაბათობით 11—2
აათ., კანტორა ღიაა ყოველ დღე.

ცალკე ნომერი ორი შაური

# ნობათი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი:


1) ვიტეს ხულიგანური ცინისმი Bäton-სა

2) კითხვა და პასუხი კ—სა

3) ფელეტონი მუშათა მოძრაობის ისტორიიდან. კ. ო-სა.

4) კანონი. Bâton-ისა

5) ეკონომიური მონიზმის კრიტიკა შ. გ.


დღისით და ღამით მოყმენი
იობათსა არ დასცდებიან...
შოთა რუსთაველი

№ 8 | კვირა 14 მაისი 1906 წ. | № 8

## ვიტტეს ხულიგანური ცინიზმი

Ah, ah, c'est épatant
—les hommes
des gouvernemats!
Rouge.

არის ცინიზმი გალოთებული ადამიანისა, ცინიზმი გიჟისა, როსკიპი დედა-კაცისა, ღენერლისა, პოლიციელ-ჯაშუშისა, ცინიზმი გალაღებული და ტვინ-გალაყებული მსაჯულისა, ცინიზმი ინკვიზიტორისა, – ყოველნაირი, მრავალ-ფეროვანი ცინიზმი;—ყოფილა ცინიზმი ძველ დროსაც,—თვით სიტყვა ცინიზმი სახელ-წოდებაა მთელი ფილოსოფიურ რწმენისა ბერძენთა ფილოსოფოსების ერთი სკოლისა,—ცინიკებისა;—ყოფილა ცინიზმი საშუალო საუკუნოებშიაც, არის იგი ეხლაც, ცინიზმი ლიტერატურაში, კერძო პირთა ნალაპარაკევში, ყოველგან და ყოველ წუთს,—მაგრამ მთავრობის კაცთა ცინიზმი შეუდარებელია, წარმოუდგენელი, გულის ამმღვრევი, უმსგავსო, აგრეთვე ყოველთვისა და ყველგან.

ვიტტე მთავრობის კაცი იყო, სცდილობს რომ ისევ მათვე გახდეს, თუმცა ფაქტიურად ისევაა მთავრობის აყროლებული მძორის ერთი ასო, იგი იქმნება ისევ მთავრობის კაცი;—ეს მისი იმედია. მაგრამ მან მხოლოდ ეხლა გამოჰხატა სავსებით ის ცინიზმი, რომელიც მას ყოველთვის ახასიათებდა,—საშინელი გულ-ცივი და ინკვიზიტორ-იეზუიტური ცინიზმი მთავრობის კაცისა, ძლევა-მოსილი მტარვალისა.

ვიტტე სიყვარულზედ ლაპარაკობს! ვიტტე პატივმოყვარეობისა, ხალხში სახელის მოხვეჭისა, სხვის ქონებისადმი სიყვარულის წინააღმდეგ ლაპარაკობს სახელმწიფო საბჭოში! ვიტტეს მოყვასის მოყვარულთათვის უნდა ამნისტია, იმათთვის კი, რომელნიც **ბრბოს წარმოადგენდა სახელმწიფოსა და კერძო საკუთრების წინააღმდეგ ხმალ-ამოწვდილს**, რევოლიუციის მომხრეთათვის, „კულტურისა“, ,რეფორმისა“ და წესიერების მტერთათვის,—იმათთვის, სიძულვილის ცეცხლი ვისაც გულში უღვივა,—იმათთვის საპყრობილეში ტანჯვა და მაგარი თოკი სახრჩობელაზედ! ვიტტე რევოლიუციონერებს სიძულვილის დამთესთ უწოდებს! ვიტტე მათ „უზნეობას“ წრის ცუდ-გავლენას აწერს—იგი მორალისტობს და ფილოსოფოსობს კიდეც!

აი რასა ჰქვია მთავრობის კაცის ცინიზმი!

ეს ის ვიტტე არ არის, რომელიც მთელი რუსეთის გლეხობის შიმშილზედ ახდენდა თავის ფინანსიურ ოპერაციებს, რომელიც შიმშილის ჭირით დახოცილთა ძვლებზედ აშენებდა თავის „ფინანსიურ პოლიტიკას“? ეს ის ვიტტე არ არის, რომ პორტსმუტში გრაფობა იყიდა ნახევარ-მილიონ კაცის თავის ხოხრებად?

ეს ის ვიტტე არ არის, რომ დურნოვოსთან ერთად მთელი რუსეთი ცეცხლსა და მახვილს მისცა, გაანადგურა და შიმშილის ბაცილებით სავსე კოკები გადაამსხვრია თავზედ რუსეთის აუარებელ სოფლებსა და ქალაქებს?

ეს ის ვიტტე ლაპარაკობს „სახელის მოხვეჭის“ წინააღმდეგ, რომელიც დონკიხოტივით მთელ თავის სიცოცხლეში მხოლოდ ამასა სცდილობს, და ეცდება, რომ ბოლოს და ბოლოს ტიერამდის მიახწიოს?

ეს ის ვიტტე ლაპარაკობს „სხვის ქონების მითვისების“ წინააღმდეგ, რომელმაც თავის პირადი სიმდიდრის ტახტიააშენა 150,000 ადამიანის ძარცვა-ყვლეფაზედ, შიმშილზედა და სილატაკეზედ?

ეს ის ვიტტე ლაპარაკობს კულტურისა, წესიერებისა და „რეფორმის“ დასაცვავად, რომელმაც სხვებთან ერთად ყველაზედ უფრო შეუწყო ხელი რუსეთის ველურობაში ჩახრჩო-

ბას, რუსეთის დაყრუებას, რუსეთის ჩამორჩენას, —მთელი იმპერიის „უწესო“ განადგურებასა და ბავშვებისა, ქალებისა და მრავალ ადამიანთა ცოცხლად დაწვას?

„სიძულვილი რომ მოვსპოთ, ამბობს ვიტტე, ამისათვის საჭიროა არა საყოველთაო ამნისტია, არამედ მდგომარეობათა შეცვლა, საჭიროა ყოველნაირი უთანასწორობის მოსპობა, რაც პიროვნების მოსპობას ნიშნავს. ეს კი ნიშნავს რუსეთის ხალხის რაღაც ცხვრის ფარად გადაქცევას, ეს ნიშნავს სულ ერთავად აღაშფოთო მთელი განათლებული ქვეყანა,—აი რაშია სიძულვილი“!

დიახ, სიძულვილის მოსასპობად საჭიროა მოსპობა ყველა იმ პირობათა, რაიც ანვითარებს სიძულვილს, ყველგან, როგორც რუსეთში, ისე მთელ განათლებულ ქვეყნებში! დიახ, თანასწორობის დამყარება იქნება მოსპობა ვიტტესთანა პიროვნებათა, ყველა მდიდართა და გაბატონებულ—ინკვიზიტორთა პიროვნების მოსპობა, მათი აღგვა პირისაგან მიწისა, რომ სიძულვილი აღარ სთესონ კაცთა შორის, რომ მართლაც ადამიანის პიროვნებანი იქმნენ ქვეყანაზედ, და არა ვიტტესი, დურნოვოსი და ალიხანოვის!

გვესმის, თქვენო ბრწყინვალებავ, თქვენი იერემიასებური გოდება „პიროვნებათა თავისუფლების“ შესახებ!

რუსეთი ცხვრის ფარას წარმოადგენსო! როდის? მაშინ, როდესაც აღარ იქმნება გრაფთა და ფინანსისტთა პიროვნებანი, თუ ეხლა, როდესაც მილიონობით პიროვნებანი სიმშილით იღუპება, და ათასობით პოროვნებანი მართლა ცხვრების ფარასავით იკვლის და იწვის თქვენ ღენერლებისა, ოფიცრებისა, სალდათ-ყაზახებისა და ჟანდარმების „პიროვნებათა“ მიერ!

მთელ განათლებულ ქვეყანას აღვაშფოთებთო. რომელ „განათლებულ“ ქვეყანას? თქვენ მსგავს პიროვნებათაგან შემდგარ განათლებულ ქვეყანას? უკაცრაყად, როდის დაიბადა თქვენი ბრწყინვალე პიროვნება?.. მგონი ამგვარი „განათლებული ქვეყნები“ უკვე „აღშფოთებული“ არიან როგორც თავიანთი საკუთარი რევოლიუციებით, ისე რუსეთის დიდი რევოლიუციით, რომელიც მათაც წარღვნით მოევლინება. ევროპის დიდი რევოლიუციის საათმა დაჰკრა, მისი პირველი ზარის ხმა რუსეთში გაისმა მესამედ ამ უკანასკნელი სამასი წლის ბოლოში, ძრწოდეთ, ვიტტესთანა „პატიოსანო პიროვნებანო“, დღემ აღსასრულისამ მოაღწია!.. თქვენ ვერ ასწავლით აღშფოთებას ევროპის ბურჟუაზიას.

თუ ვის აღშფოთებს რუსეთის „გათანასწორება“? მუშას, გლეხს, მოაზრეს ევროპაში? ჰმ! ისინი კაი ხანია აღშფოთებულ არიან აგრეთვე,—ვიტტეს მსგავსს პიროვნებათ-მიერ; მათ ჰქონდათ 48 წელი, პარიზის კომმუნა; მათი აღშფოთება გათანასწორების წინააღმდეგ კი არ არის, არამედ გასათანასწორებლად,—და ვიტტეს ახალი ამბები „აღშფოთების“ შესახებ მათ არ ეჭირვებათ!

მაშ, თქენო ბრწყინვალე პიროვნებავ, ამნისტია არ გინდათ, რომ სიძულვილი არ დასთესოთ ხალხში რევოლიუციონერთა განთავისუფლებით, რომელნიც სიძულვილსავრცელებენ, მაშ სიყვარულისა და კაცთმოყვარეობის სახელით უნდა დაალპოთ საპყრობილეებში მრავლის უმრავლესი მებრძოლი? მაშ რევოლიუციის გეშინიათ, რევოლიუციის, რომელიც უბედურებაა რუსეთისათვის და განათლებულ ქვეყნებსაც აგიყაყანებს? თქვენ გულსა და სულს გადაუშლით **უდანაშაულოდ დასჯილებს**? ის ამნისტია გინდათ, რომელიც დაიცავს სიწყნარეს, „რომელზედაც ამდენი შრომა და მუშაობა დახარჯეთ“?..

Mais en voilá assez!

უკან დაიხიეთ, საზიზღრებო! თქვენ ნება არა გაქვსთ ილაპარაკოთ სიყვარულზედ და ამით შეურაცხყოთ ეს წმინდა გრძნობა, მაშინ როდესაც ფეხ-ქვეშ გასთელეთ იგი მილიონობით ხალხისათვის! თქვენ ნება არა გაქვსთ ილაპარაკოთ სიძულვილზედ, როდესაც თვითონა ხართ მისი განხორციელება, შავი სატანა სიძულვილისა, რომელმაც ძაძა-ფლასით შემოსა მთელი რუსეთი, კვნესით აღავსო მისი თვალ-უწვდენელი მიდამოები!

თქვენ ნება არა გაქვსთ რევოლიუციონერთა და უდანაშაულოთ დასჯილთათვის გულისა და სულის გადაშლისა, რადგანაც თქვენი გესლიანი და უუმცირესი გული და სული ვერ დაიტევს მათ წმინდა გრძნობათა აღელვებულ ზღვას, არცა სჭირია ამ ზღვას თქვენი გულის და სულის ბალღმითა და სიბინძურით წაიბილწოს.

თქვენ ნება არა გაქვსთ ილაპარაკოთ ადამიანთა წმინდა გრძნობაზედ, არც სიყვარულზედ, რომელიც ადამიანის ერთი კეთილ-შობილ გრძნობათაგანია, არც სიძულვილზედ, რომელიც ადამიანს თავ-განწირულების ასპარეზზედ გამოიყვანს ხოლმე.

ერთიც და მეორეც თქვენთვის უცხოა. სიძულვილი შეგიძლიანთ მაშინ, როდესაც ძალა გაქვსთ სხვისი ხელით წაართვათ უდანაშაულო, სიყვარული თქვენი გულიდან შორს არის.

ამ გრძნობებზედ თქვენი ლაპარაკი— თქვენი ხულიგანური ცინიკობაა,—რაიც თქვენ დიდ პოლიტიკურ სიბრძნეთ მიგაჩნიათ. სთქვათ გულწრფელად—რევოლიუციის გეშინიათ!

სამხრეთიდან ჩრდილოეთს, ჩრდილოეთიდან სამხრეთს, მთელი აღმოსავლეთ-დასავლეთის სიგრძეზედ გალართხულა დღეს თქვენი საშინელი რეაქციის ვეშაპი,—დამარცხებულ მებრძოლთა შიშის ზარიც გაკანკალებთ, რომ მათ ისევ არ გამოიწვიონ რევოლიუციის ოკეანეს ღელვა და ძლიერი ტალღის ტყორცნით არც ჩაგფლან იმ ნეხვში, სადაც საუკუნო აყროლების განაჩენს წაგიკითხავსთ ჩვენის ტანჯვისა და წამების ისტორია!

უდანაშაულო დასჯილთ პატიებს გწყურიათ! შეგიძლიანთ კი გამოირკვიოთ, ვინ არის უდანაშაულოდ და ვინ ღირსეულად დასჯილი?—აბსურდია! რუსეთის რევოლიუციის დროს არ იყო არც დამნაშავე, არც ღირსეულად დასჯილნი, იყვნენ მებრძოლნი, გამარჯვებულნი და დამარცხებულნი: ამ უკანასკნელთ კი ვიტტეს სულისა და გულის გადაშლა არა სწყურიათ, არ სწყურიათ მისი გულის ბალღამი!

დაე ჯერ მთავრობის წუმპეში ამოვლებულმა ხალხმა ილაპარაკოს ამნისტიაზედ. სანამ მათ გულში მართლა უღვივისთ სურვილი მებრძოლთა თავისუფლებისა,—დაე როდიჩევმა და მისმა მეგობრებმა ილაპარაკონ სიყვარულზედ, პატიებაზედ და სიძულვილზედ,— ესენი ჯერ გამოუცდელნი არიან პოლიტიკურ „მაშენნიკობაში“, ჯერ გულწრფელად „ემსახურებიან“ ხალხს, და მერეც ეყოფათ **ხულიგანობა**, როდესაც ფატალურად დახვრეტენ ხალხს პეტერბურგის ქუჩებზედ,—ხოლო მე-XX საუკუნის ტორკემადებმა გასუნგონ ხმა, შეძვრენ სისხლით მყრალ თავიანთ სოროებში, ნულარაფერს იტყვიან, მათ ბევრი მოჰკლეს, ბევრი დაალპეს საპყრობილეში, ბევრი გააუპატიურეს, ბევრს აღინეს ცრემლი!—არ გვინდა მათი ამნისტია, მათი სიყვარული, მათი სიძულვილი, მათი წესი და მათი რიგი, მათ ადამიანობას ჩვენ უარ-ვყოფთ, მათი ცინიზმია მათი ინკვიზიტორულ-ხულიგანური ცინიზმი ზიზღსა გვგვრის და სუ-

რვილს გვილვიძებს მათი მოსასპობისადმი, სიძულვილს გვილვიძებს მათი სიცოცხლისადმი.

მშიშარანო! დამარცხებულ, დამწყვდეულ რევოლიუციონერებისაც კი გეშინიათ.—მიტომ არ გინდათ ამ დამნაშავეთათვის ამნესტია! მაგრამ ვერ არის სწორი თქვენი ანგარიში! რევოლიუციის ბედ-იღბალი კერძო რევოლიუციონერებზედ არ არის დამოკიდებული. იგი თვით ხალხთა სიღრმიდამ ამონთქეს ხოლმე, როდესაც ხალხიხ ტანჯვისა და ცრემლის ნაკადულს ველარ იკავებს „ბრწყინვალე პიროვნებათა“ პულემიოტები და ზარბაზნები.

მაშინ ჩვენ-მიერ იქმნება დაყენებული თქვენი ამნისტიის კითხვა,—გულსა და სულს არ გადავუშლით თქვენ შორის „უდანაშაულოთ“, რადგანაც იგინი არ მოიპოვებიან.

ჯერ კი მშვიდობით ბრძანდებოდეთ, თქვენო ბრწყინვალებავ, კამენნოოსტროვჩე! სთხოვეთ პობედონოსცევს მუხლო მოდრეკით შეევედროს მამა გოროდცევს თქვენთვის პარაკლისი გადაახდევინოს და მოგაშოროსთ თავიდან ბოროტი სული რევოლიუციისა, რომელიც საპყრობილეში გგონიათ ჩამწყვდეული და მოსვენებას არ აძლევს თქვენს კეთილ-შობილ სულსა და ჩვილ გულს!..

Bâton

## კითხვა და პასუხი

ამ დღეებში შემდეგი წერილი მივიღეთ:

წერილი „ნობათის“ რედაქციას.

თქვენ ძალიან გაერთეთ სოციალ-დემოკრატების „კრიტიკაში“ და ამავე დროს სხვა თითქმის ყველაფერი დაგავიწყდათ. დაგავიწყდათ, მაგალითად ის, რომ როცა თქვენი მოწინააღმდეგე პარტია ვერ უძლებს თქვენს „კრიტიკას“ და „თავისი დიდების პიედესტალიდან ძირს ტალახში აგდებთ“, ამავე დროს მას [illegible] თქვენი „ნამდვილი სოციალიზმი“ უნდა დაუყენოთ. თქვენ [illegible]ათ, რომ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას აუარებელი წევრები ყავს და აუარებელი ხალხი ემხრობა და როცა მათ „გერპს“ „თავის დიდების პიედესტალიდან ძირს ტალახში აგდებთ“ ამავე დროს ამ ხალხს უნდა სამაგიერო გერპი... უკაცრავათ, თქვენებურათ „ხსნის გზა“ უნდა მისცეთ, ეს ხსნის გზა თქვენა ხართ როგორც გვეუბნებით. ამიტომ საჭიროა უფრო გარკვეულათ დაგვანახვოთ თქვენი ფიზიონომია- თქვენ ფიზიონომიის-კი მაშინ დაგვანახვებთ უფრო კარგათ, როცა გაისკვებით და ქვემოთ მოყვანილ კითხვებზე პასუხს მოგვცემთ. რა თქმა უნდა, თქვენი სავსებით გაცნობისათვის მარტოკა ეს არ კმარა, მაგრამ ამ დროებით ეს იყოს და შემდეგში კიდევ ვნახოთ.

რანაირია თქვენი მსოფლიო შეხედულება?

რა არის თქვენი მიზანი?

სცნობთ თუ არა შესაძლებლათ თქვენი მიზნის განხორციელებას თანამედროვე ეკონომიური ვითარების საფეხურზე?

რანაირ ორგანიზაციას აღიარებთ საჭიროთ ამისათვის, ჯგუფს თუ პარტიას?

რა ტაკტიკას ადგეხართ თქვენი მიზნის მისახწევათ?

საზოგადოების რომელ ერთეულში სცნობთ შესაძლებლათ ანარქიული კომუნის განხორციელებას!

რანაირი დამოკიდებულება უნდა იქნეს ამ კომუნებს შორის ან როგორ უნდა მოეწყოს ამ ნაირი კომუნების დროს მსოფლიო წარმოებრივი დამოკიდებულება?

ამ კითხვებზე პასუხის მოცემით რამოდენიმეთ გაგვაცნობთ თქვენს თავს და ვნახოთ..· თუ რომ ნამდვილი სოციალისტები თქვენა ხართ მაშინ თქენ გამოგყვებით, თქვენ მოგემხრობით.

მუშა

—

# ფელიეტონი

## მუშათა მოძრაობის ისტორიიდან

### II

### ინტერნაციონალი.

ინტერნაციონალი, როგორც ვსთქვით, დასასრულ მოყვანილ იქნა ორგანოში 1864 წ. ლონდონში სენმარტენჰოლში მომხდარ მიტინგზე, მაგრამ მის პროგრამასა და დეკლარაციას დროებითი ხასიათი ჰქონდა შემდეგი წლისთვის დანიშნულ მორიგ კონგრესამდე, რომელიც ბრიუსელში უნდა მომხდარიყო. ბრიუსელში შემდეგ წელს კონგრესის გახსნა შეუძლებელი აღმოჩნდა, იქ იმ დროს რეაქციონური მთავრობა საშინლად სდევნიდა უცხოელებს. კონგრესის მაგიერ 1865 წელს მოწვეულ იქნა ლონდონში კონფერენცია, რომელსაც 1864 დადგენილებებში ახალი არაფერი არ შეუტანია. ამ კონფერენციაზე მომხდარ მოლაპარაკებას აზრად ჰქონდა ყოვლის უმალ ინტერნაციონალის, როგორც ორგანიზაციის მოწესრიგება და მის საადმინისტრაციო გამგე პრინციპების დამყარება. ამავე კონფერენციაზე გადაწყვეტილ იქნა შემდეგი წლის კონგრესის (1866) დანიშვნა ქალაქ ჟენევაში.

### ჟენევის კონგრესი

კონგრესი დაინიშნა სექტემბერში და გაგძელდა 3—8 სექტემბრამდე, მას დაესწრო 60 დელეგატი, რომელთაგან 45 დელეგატი წარმოადგენდა 25 სექციას ინტერნაციონალისა, 15 კი 11 კოოპერატიულ ამხანაგობას. უმეტესი ნაწილი დელეგატებისა ინგლისელებისა და ფრანგებისაგან იყო შემდგარი. კ. მარქსი კონგრესზე არ იყო. უმთავრესი მნიშვნელობა ამ კონგრესისა მდგომარეობს იმაში, რომ მან მიიღო და დაამტკიცა ცოტა შესწორების შემდეგ სტატუტები საერთაშორისო ამხანაგობისა. აი სია კითხვებისა, რომელნიც უნდა გარჩეულიყვნენ კონგრესზე:

1. დეკლარაცია და სტატუტები კავშირისა.
2. საერთაშორისო გაერთიანება მისწრაფებათა შრომასა და კაპიტალს შუა არსებულ ბრძოლაში ამხანაგობის დახმარებით.
3. შემოკლება სამუშაო დღისა.
4. კოოპერატიული საზოგადოებები.
5. პროფესიონალური საზოგადოებები.
6. პირდპირი და არა პირდაპირი გადასახადი და სხვ.

ამ საერთო დებულებას და სტატუტებს ერთობ დიდი მნიშვნელობა აქვს მუშათა მოძრაობის ისტორიაში, ამისთვის მოვიყვანთ მას სრულად.

**საერთო დებულება**. მიღებულ იქმნა რა მხედველობაში, რომ განთავისუფლება მუშათა კლასისა უნდა იქნას განხორციელებული თვით მუშებისაგან;

რომ მუშათა კლასის განმათავისუფლებელი ბრძოლა არ არის დაწყებული კლასიური პრივილეგიების და მონოპოლიის მოსაპოებლად, არამედ ყველა კლასების უფლებათა, ვალდებულებათა გასათანასწორებლად და ერთის კლასის მეორეზე ბატონობის მოსასპობად;

რომ დამოკიდებულება მუშის საწარმოვო იარაღის, ე. ი.

## ჯერ ორიოდე სიტყვა წერილმანის შესახებ

ჩვენი კორესპონდენტი თითქოს საყვედურის კილოთი ამბობს: თქვენ ძალიან გაერთეთ სოციალ-დემოკრატიის კრიტიკითაო. აქ სასაყვედურო არაფერია და აი რისთვის. როცა ახალი პარტია, ახალი საზოგადოებრივი ჯგუფი გამოდის საზოგადო ასპარეზე, მისთვის არსებული პარტიების და ჯგუფების კრიტიკა ყოვლად აუცილებელია. მხოლოდ ამ კრიტიკას შეუძლია გახადოს თვალსაჩინოდ საჭიროება ახალი ჯგუფისა, ან პარტიისა. გაიხსენეთ მაგალითად ის დრო, როცა სოციალ-დემოკრატია პირველად გამოვიდა საზოგიდოებრივ ასპარეზე. განა მან არ შეეცადა დაემტკიცებია, რომ არსებული პარტიები ვერ აკმაყოფილებენ ყველა საზოგადოებრივ მოთხოვნილებას? განა რუსეთში სოციალ-დემოკრატიამ „ნაროდნიკების“ და „ნაროდოვოლცების“ ულმობელი კრიტიკით არ დაიწყო თვისი მოქმედება? აიღეთ ყველა თითქმის ორიგინალური ქმნილებანი „группа освобожденія труда“-სი, რომელმაც შექმნა რუსეთში სოციალ-დემოკრატია, განა მკვახე, უხეში პოლემიკით ერ არიან სავსენი ისინი? გ. პლეხანოვს, რომელიც მამათ-მთავარია რუსეთის სოციალ-დემოკრატიისა არც კი დაუწერია ისეთი რამ, რასაც პოლემისტური ხასიათი არ ჰქონდეს. პოლემიკა პარტიის შექმნის აუცილებელი იარაღია. ახალი ჰარტია, რომ გამოჩნდება, ძველები მოსვენებას არ აძლევენ: არ ხარ საჭირო, ვერ მოიკიდებ ფეხსო. ახალი პარტია იძულებულია კრიტიკის იარაღით დაიცვას თავი, დაამტკიცოს, რომ ძველი პარტიები ვერ ასრულებენ თავის მოვალეობას ხალხისადმი; თუ ის შესძლებს ამის დამტკიცებას, ახალი პარტიის საჭიროებაც დამტკიცებული იქნება.

ეხლა გადავიდეთ კითხვებზე, მაგრამ სანამ მათ გარჩევას შეუდგებოდეთ, საჭიროთ მიგვაჩნია ვსთქვათ, რომ ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია დასმულ კითხვებზე სავსებით პასუხის გაცემა. დასმულ კითხვათა შორის ისეთებიცაა, რომელთა სავსებით გარჩევისათვის მთელი ტომის დაწერა იქნება საჭირო, მაგალითათ, კითხვა ჩვენი მსოფლ-მხედველობის შესახებ. არიან ისეთებიც, რომელთა შესახებ გულღიად ლაპარაკი შეუძლებელია ჯერ-ჯერობით, მაგალითად კითხვა ტაკტიკის შესახებ. ზოგ ზემო მოყვანილ კითხვების შესახებ ჩვენ გვქონდა ლაპარაკი „ნობათში“, ზოგის შესახებ აწი გვექნება საუბარი, ასე რომ მკითხველი მარტო ამ წერილს არ უნდა დაემყაროს ჩვენი ვინაობის გასაგებად. მთელი ფილოსოფიის, ტაქტიკის, პროგრამის და მომავალი საზოგადოების სურათის დახასიათება ერთ წერილში შეუძლებელია, ამას დრო უნდა, იმედი გვაქვს თავის დროზე ყველა ამ კითხვების შესახებ ცნობებს მივაწოდებთ მკითხველს ან სტატიებით, ან ცალკე გამოცემებით.

რანაირია თქვენი მსოფლიო შეხედულება?

ამ კითხვაზე რამდენიმე სიტყვით და თუნდ ერთი და ორი სტატიით პასუხის გაცემა შეუძლებლად მიგვაჩნია. ეს ძლიერ რთული კითხვაა. მალე „ნობათში“ დავიწყებთ სერიას სტატიებისა, რომელთაც მიზნად ექნებათ ამ კითხვის გამოკვლევა.

რა არის თქვენი მიზანი? ჩვენ გვგონია, რომ ეს ცხადია ყველასათვის: ჩვენი მიზანი სოციალიზმია, ე. ი. ადაიიანის სრული განთავისუფლება, როგორც ეკონომიურად, ისე პოლიტიკურად. ეს იყო მუდმივი მისწრაფება ყველა ქვეყნის და ყველა დროის სოციალისტთა, ესევე დარჩა ჩვენ მუდმივ და უცვლელ მისწრაფებათ.

ჩვენი აზრით „საძირკველი ყოველ გვარ მონობისა არის მონობა ეკონომიური“. ამისთვის, როგორც პროპაგანდის, ისე მოქმედების სათავეში ჩვენ ვაყენებთ ბრძოლას ეკონომიურ მონობის წინაალმდეგ. როგორც ეს ნათელ ჰყო პ. კროპოტკინ-

---

ცხოვრების წყაროების მესაკუთრისაგან არის მიზეზი ყოველგვარ პოლიტიკურ, ზნეობრივ და მატერიალურ მონობისა;

რომ ამისათვის ეკონომიური განთავისუფლება მუშა ხალხისა არის უმაღლესი მიზანი, რომელსაც უნდა მორჩილებდეს ყოველი პოლიტიკური მოძრაობა, (როგორც სახსარი).

რომ ყოველ დღემდის მომხდარი ცდა ამ მიზნის განსახორციელებლად დამარცხებულ იქნა იმისათვის, რომ არ არსებობდა ერთობა შრომის სხვა და სხვა დარგთა შორის და ძმური კავშირი სხვა და სხვა ქვეყნის მუშათა შესაერთე-ბლად;

რომ მუშათა განთავისუფლება არ არის ადგილობრივი ან ნაციონალური საკითხი, არამედ ინტერნაციონალური, და ეხება ყველა ქვეყანას სადაც კი არსებობს თანამედროვე წესწყობილება,—საკითხი, რომლის გადაწყვეტაც შეიძლება მოწინავე ქვეყნების საერთო პრაკტიკული და თეორიული მოქმედებით; რომ ეხლა მრეწველობის მხრივ უფრო განვითარებულ ქვეყნებში ხელახლად შობილი მოძრაობა აღვიძებს ახალ იმედებს და ამასთანავე გვაფრთხილებს რომ ძველ შეცდომებს არ მივუბრუნდეთ, ითხოვს შეერთებას ყველა ჯერ კიდევ დაცალკევებულ მოძრაობათა.

იღებს რა მხედველობაში ყველა ამას, პირველი საერთაშორისო კონგრესი აცხადებს, რომ საერთაშორისო მუშათა ამხანაგობა ყველა მასში შესულ კავშირებით და წევრებით აღიარებს ერთმანეთს და აგრეთვე ყოველ ადამიანთა შორის ფერისა, სარწმუნოებისა, ნაციის განურჩევლად ურთიერთობის ნიადაგად ჭეშმარიტებას, უფლებას და ბუნებრივობას. კონგრესს მიაჩნია ადამიანის ვალდებულებად თხოვნა ადამიანის და მოქალაქობრივ უფლებათა არა თუ თავისთვის, არამედ ყველა კაცისათვის, რომელიც თავის მოვალეობას ასრულებს. არ უნდა არსებობდეს უფლება უმოვალეობოთ და მოვალეობა უუფლებოთ.

ასეთი იყო დიდის ტაქტით და გამჭრიახობით შედგენილი თეორიული შესავალი ინტერნაციონალის საერთო დებულებათა, რომელიც დიდის აღტაცებით იქნა მიღებული ყველასაგან, რადგან ის იყო გამოხატულება წმინდა სოციალისტურ მისწრაფებათა. ჩვენ აქვე მოვიყვანთ სრულად დებულებას საერთაშორისო ამხანაგობისა, რადგან ის პროტოტიპია ყოველ გვარ კავშირთ დებულებათა.

მუხლი 1. ეს ამხანაგობა დაარსებულ იქმნა იმ მიზნით, რომ შექმნას ცენტრი სხვა და სხვა ქვეყნებში არსებულ კავშირების გაერთიანებულ, თანდათან და საერთო მოქმედებისა, რომელსაც მიზნად აქვს დაცვა და სრული განთავისუფლება მუშათა კლასისა.

2. საზოგადოებას ეწოდება: საერთა შორისო მუშათა ამხანაგობა.

3. ყოველ წლიურად იკრიბება მუშათა კონგრესი რომელიც შესდგება ამხანაგობის ჯგუფთა დეპუტატებისაგან. კონგრესი გამოაცხადებს მუშათა კლასის საერთო მისწრაფებათ განიხილავს ზომებს, რომელიც უნდა იქნას ხმარებულნი სარგებლიან მოქმედებისათვის და დანიშნავს კავშირის საერთო საბჭოს (генеральный совѣтъ).

4. ყოველი კონგრესი დანიშნავს დროსა და ადგილს შემდეგი კონგრესისას. დეპუტატები მოიყრიან თავს დანიშნულ

მა თავის თხზულებებში, ყოველ განსაზღვრულ ფორმას ეკონომიურ მონობისა შეეფერება აგრეთვე განსაზღვრული ფორმა პოლიტიკურ მონობისა. შეუზღუდველი მონარქია, თვითმპყრობლობა ესაბამებოდა ბატონყმობით წეს-წყობილებას. წარმომადგენლობითი გამგეობა (პარლამენტარიზმი) ესაბამება კაპიტალისტურ წეს-წყობილებას. ამით აიხსნება სწორედ, რომ ინგლისი, კლასიკური ქვეყანა კაპიტალიზმისა, არის იმავე დროს კლასიკური ქვეყანა წარმომადგენლობითი გამგეობისა. შესაძლებელია, რომ რამოდენიმე წლებით პოლიტიკური ფორმაგანვითარებით ჩამორჩეს უკან ეკონომიურ წეს-წყობილების ფორმას, როგორც რუსეთში და გერმანიაში მოხდა მაგალითად. მაგრამ თუ რომ ისტორიულ ხანებს წლობით არ დავთვლით, ზემო აღნიშნულ პარალელიზმს პოლიტიკურ და ეკონომიურ ფორმათა შორის შეგვიძლია მივათვისოთ სახელი **ისტორიულ დაახლოვებით კანონისა**. ამისათვის ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ყოველ **ეკონომიურ** ცვლილებას პოლიტიკური ცვლილება უნდა მოჰყვს, მაგრამ ყოველ პოლიტიკურ ცვლილებას ეკონომიური ცვლილება შეიძლება არ მოჰყვეს. ვიღებთ რა მხედველობაში ამ მოსაზრებას, რომელიც ისტორიულ ფაქტად მიგვაჩნია, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ღრმა საზოგადოებრივი ტრანსფორმაცია შესაძლებელია მხოლოდ არსებულ ეკონომიურ ურთიერთობათა ძირიანად შეცვლით. ეს ტრანსფორმაცია ადამიანთა კაპრიზის მოგონილი კი არ არის, ის თანამედროვე პირობებში ისტორიული საჭიროებაა. ამ ცვლილებისაკენ მიდის ისტორია. სოციალიზმი უფრო და უფრო იკიდებს ფეხს თანამედროვე წარმოებაში, ის უფრო და უფრო ვრცელდება მუშათა შორის და ხდება მათ მამოქმედე, მამოძრავე და მანუგეშე იდეალად. ამასთანავე თანამედროვე წარმოებაში ისეთი ინტეგრაცია ხდება, რომ ყოვლად შეუძლებელი ხდება გამოზომვა და გამოანგარიშება იმისა, თუ რა ეკუთვნის ამა თუ იმ კერძო მუშას და ამისათვის კომუნიზმი იხატება, როგორც ერთად-ერთი და აუცილებელი საჭიროება.

თვით თანამედროვე ცხოვრება, გათვალისწინება და შესწავლა პოლიტიკურ ურთიერთობათა ეგრედ წოდებულ „პოლიტიკურად თავისუფალ ქვეყნებში“ აშკარად ჰყოფს თვით მუშათათვის იმ ჭეშმარიტებას, რომ ნამდვილ და უტყუარ პოლიტიკურ თავისუფლებას საძირკვლად უნდა დაედოს ეკონომიური თავისუფლება, მხოლოდ ეკონომიურ თავისუფლების ნიადაგზე შეიძლება აღმოცენდეს ნამდვილი პოლიტიკური თავისუფლება. ამისათვის იქ, სადაც მუშები განვითარების უმაღლეს საფეხურსე სდგანან, ისინი ესწრაფვიან ყოვლის უმალ ეკონომიურ თავისუფლების განხორციელებას, რადგან ეს ეკონომიური თავისუფლება და მხოლოდ ის, გახდება საძირკველი მუშების თავისუფლებისა ისე, როგორც დღეს ეკონომიური მონობა არის საძირკველი მათი პოლიტიკური მონობისა. თუ სოციალ-დემოკრატები და სხვებიც პოლიტიკურ თავისუფლებას სახვენ სახსრად და ეკონომიურს მიზნად, ჩვენ პოლიტიკური თავისუფლება მიგვაჩვია მიზნად, და ეკონომიური კი სახსრად.

სალარიატზე (მუშის შრომის ყიდვაზე დამყერებული ეკონომიური ურთიერთობა) დამყარებული წესწყობილება უნდა დაინგრეს და მის ნანგრევზედ აშენდეს წეს-წყობილება თანასწორობისა—კომუნიზმი. ჩვენ უკვე ვსთქვით, რომ ყოველ განსაზღვრულ ფორმას ეკონომიურ ურთიერთობისა შეეფერება განსაზღვრული ფორმა პოლიტიკურ ურთიერთობისა. თუ ბატონყმობით წესწყობილებას შეუზღუდველი თვითმყრობლობა შეეფერებოდა, თუ კაპიტალისტურ წეს-წყობილებას წარმომადგენლობითი გამგეობა შეეფერება; თუ, ერთის სიტყვით, ეს პარალელიზმი დაახლოვებითი ისტორიული კანონია, რო-

---

დროზე და ადგილზე. ამისთვის სპეციალურად მიწვევა საჭირო არ არის. თუ საჭიროება მოითხოვს საერთო საბჭოს შეეძლება გამოსცვალოს ადგილი კონგრესისა, მაგრამ დროს გამოცვლა კი მას არ შეუძლია. კონგრესი ნიშნავს ადგილს თუ სად უნდა იმყოფებოდეს საერთო საბჭო და ნიშნავს აგრეთვე მის წევრებს. ამნაირად დანიშნულ საერთო საბჭოს ნება აქვს შეივსოს თავის შემადგენლობა მისგანვე მოწვეულ ახალი წევრებით. კონგრესს უნდა მოხსენდეს ყოველ წლიურად მოქმედება საბჭოსი. უკიდურეს შემთხვევაში საბჭოს შეუძლია მოიწვიოს კონგრესი დანიშნულ დროზე ადრე.

5. საერთო საბჭო შესდგება სხვა და სხვა ქვეყნის მუშებისაგან, იმ ქვეყნების, რომელთა წარმომადგენელნი შედიან საერთაშორისო ამხანაგობაში. თავის წევრებში საერთო საბჭო ირჩევს სხვა და სხვა ქვეყნის საქმეების წამყვან კაცებს, მაგალითად ხაზინადრებს, უფროს სეკრეტრებს-კორესპოდენტებს და სხვა.

6. საერთო საბჭო ასრულებს როლს საერთაშორისო შუამავალისა სხვა და სხვა ნაციონალურ და ადგილობრივ ჯგუფთა შორის და ეს იმისათვის, რომ მუშებს ერთი ქვეყნისა სწორი წარმოდგენა ჰქონდეთ მათი კლასის მოძრაობისა სხვა ქვეყნებში; რომ შესაძლებელ იყოს გამოკვლევა ერთი საერთო ხელმძღვანელობით ევროპის სხვა და სხვა ქვეყნის სოციალურ მდგომარეობისა; რომ საერთო ინტერესის მქონე საკითხებზე აღძრულთ ერთი კავშირის მიერ სხვებიც გამოექომაგონ და რომ კიდევ თუ საჭიროება მოითხოვს, (მაგალითად საერთაშორისო განხეთქილების დროს) შეერთებულმა კავშირებმა შესძლოს ერთნაირად და ერთ დროს მოქმედება.

თუ საჭიროება მოითხოვს, საერთო საბჭოს ნება აქვს შეიტანოს თავის ინიციატივით რაიმე წინადადება, რომელიც უნდა მოხსენდეს სხვა და სხვა ნაციონალურ და ადგილობრივ კავშირებს. რათა გაადვილოს ურთიერთობა კავშირის ჯგუფებთან საერთო საბჭო აქვეყნებს მოხსენებებს.

7. რადგან მუშათა მოძრაობის გამარჯვება ყოველ ქვეყანაში დამოკიდებულია ერთი მხრით მის ერთობაზე და შეერთებაზე და მეორე მხრით, რადგან უმთავრეს საერთაშორისო საბჭოს მოქმედება დამოკიდებულია იმაზე თუ მას საქმე ექნება არა მრავალ რიცხვოვან ცენტრებთან მუშათა კავშირებისა და არა მრავალ რიცხვოვან, დაქსაქსულ ადგილობრივ კავშირებთან—წევრებმა საერთაშორისო ამხანაგობისა ყოველი ღონე უნდა იხმარონ, რომ შეაერთონ თავის ქვეყნის დაფანტული კავშირები ნაციონალურ კავშირებში, რომელნიც წარმოდგენილ უნდა იქმნან თავიანთ ნაციონალურ ცენტრალურ ორგანოებით.

რასაკვირველია, ამ სტატუტის სისრულეში მოყვანა დამოკიდებულია იმაზე თუ როგორი კანონები მოქმედებენ ამა თუ იმ ქვეყნებში, მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა კანონი არ ეწინააღმდეგება ამას, ყველა ადგილობრივი დამოუკიდებელი კავშირი ვალდებულია იქონიოს ურთიერთობა საერთო საბჭოსთან.

8. ყოველ სეკციას (განყოფილებას) ნება აქვს დანიშნოს თავის საკუთარი სეკრეტარი, რომელსაც საქმე ექნება უმთავრეს საბჭოსთან.

9. ამხანაგობის წევრად აირჩევის ყველა ვინც იცავს მის

გორც ჩვენ გვწამს,—კომუნიზმს, როგორც განსაზღვრულ ფორმას ეკონომიურ ურთიერთობისა უნდა ჰქონდეს თავის შესაფერი, აგრეთვე განსაზღვრული, ფორმა პოლიტიკურ ურთიერთობათა. როგორი უნდა იყოს ეს ურთიერთობა? ის არ შეიძლება იყოს წარმომადგენლობითი—წარმომადგენლობითი სისტემა კაპიტალიზმს ესაბამება. მაშ როგორი უნდა იყოს ის? ანარქიული. თავისუფალი მუშა, თავისუფალ ორგანიზაციის წევრი უნდა იყოს და მართლაც იქ, სადაც მუშამ შეგნებულობის მაღალ წერტილზე მიაღწია, ის ესწრაფვის ეკონომიურად თავისუფალი ურთიერთობა, პოლიტიკურად თავისუფალი ურთიერთობით შეავსოს *)

ისეთი თავისუფლების ურთიერთობა მხოლოდ მაშინ განხორციელდება, როცა დამოკიდებულება საზოგადოების წევრთა და ორგანოში მოყვანილ ერთეულთა შორის ძალმომრეობაზე და ძალდატანებაზე კი არა, **თავისუფალ შეთანხმებაზე იქნება დამყარებული.** ამნაირად კაპიტალისტურ წესწყობილების დანგრევას უნდა მოჰყვეს სრული შეცვლა საზოგადოების თანამედროვე მართვა გამგეობისა, რათა შესაძლებელი გახდეს ადამიანის პირადობის სრული თავისუფლება და შექმნა ისეთი პირობებისა, რომელშიდაც **ნორმალური იქნება მისი ყოველმხრივი ჰარმონიული განვითარება.** არც ეს ჩვენი მოსაზრებაა კაპრიზე ან ამა თუ იმ კერძო პირის სურვილზე დამყარებული. ამგვარი ჩვენი მისწრაფების მოსარჩლეთაც ისტორიც, მთელი კაცობრიობის ისტორია, მიგვაჩნია. ისტორიის ყოველ ფურცელზედა ვხედავთ იმის საბუთებს, რომ **თუ საზოგადოების მაღლა ნაწილი, პრივილეგიებით გამძლარი კლასები, ცენტრალურ მთავრობის გაძლიერებას ესწრაფვოდნენ, საზოგადოების დაბლა ნაწილი, ის ნაწილი, რომლის ზურგზედაც არის აშენებული საზოგადოების მაღლა ნაწილის დიდების პიედესტალი, სულ მუდამ ესწრაფოდა ძალდამტანე ორგანიზაციის შესუსტებას, მისი სისხლის მადენ კლანჭებიდან გამოსვლას. თუ რამე ღირსება გააჩნია ადამიანს, თუ რამე უფლებისა და თავისუფლების მოპოვება შესძლო მან, ყველა ეს მოახერხა სწორედ ამ მისწრაფების მეოხებით.** ამ მისწრაფების ძლიერი შედეგები თანამედროვე სოცაალურ განვითარების ისტორიაშიც სჩანს. ამ მისწრაფების შედეგია ის ტენდენცია პოლიტიკურ დეცენტრალიზაციისადმი, რომელმაც იჩინა თავი თითქმის ევროპის ყველა სახელმწიფოში და რომელიც რევოლიუციის ლოზუნგადკი არის გამხდარი ზოგიერთ ქვეყნებში (საფრანგეთი, იტალია, ავსტრია, ისპანია). ვინ შესძლებს, თუ არა ბრმა, უარყოფას იმ ცხადი, აშკარა ფაქტისა, რომ ინდივიდი სცდილობს თავისი თავისუფლების გაფართოებას? ვინ შესძლებს იმის უარყოფას, რომ სახელმწიფო ანტაგონისტია ინდივიდის და მისი თავისუფლებისა? ამ ფაქტის უარყოფა შეუძლებელია, რადგან ის ცხადია, აშკარაა, თანამედროვე ისტორიის ყოველი ფურცელი გვითითებს მასზე. რადგან პირადი თავისუფლება ვერ მორიგებია სახელმწაფოს და რადგან პირადობის თავისუფლება აუცილებელი პირობაა ცხოვრების სიღრმისა და სიფართის მხრივ (ინტენსიური და ეკსპანსიური) ნორმალური განვითარებისა, ადამიანი გაურბის სახელმწიფოს, სცდილობს რაც შეიძლე`ა მეტი ნაწილი თავის საქმეებისა მოაწყოს ისე, რომ სახელმწიფოს ოქროს მოყვარე და თავისუფლების მკვლელი ხელები ვერ მისწვდეს და ვერ შებღალოს ის. ამისათვის შეგნებული ინდივიდისათვის, სოციალური განვითარების შეგნებულად მონაწილისათვის სახელმწიფოს შემოფარგვლა, მისი არარაზე ჩაყვანა, დღეიდანვე პრაკტიკულ მიზნად არის გამხდარი.

*) ამ მხრივ ძალიან საინტერესოა აზრი საფრანგეთის მუშათა ორგანიზაციებისა ამ კითხვის შესახებ: რა ვქნათ და როგორ მოვაწყოთ საერთო გაფიცვის მეორე დღეს. (ეს ანკეტა მოთავსებულია Voisdu Peuple-.ში).

---

პრინციპებს ყოველი ჯგუფი პასუხის მგებელია მისგან მიღებულ წევრის სიწმინდისთვის.

10. ერთ ადგილიდან მეორე ადგილზე გადასული ყოველი წევრი ამხანაგობისა მიიღებს იქ მყოფი მოკავშირისაგან ძმურ დახმარებას,

11. ყოველი კავშირი, რომელიც შედის ინტერნაციონალში, თუმცა ის შედის იქ მუდმივად და ძმურად საერთო მოქმედებისათვის ინახავს თავის უწინდელ ორგანიზაციას დაურღვევლად.

12. ამ დებულებების შეცვლა ყოველ კონგრეს შეუძლია თუ კი ორი მესამედი დელეგატებისა მოისურვებენ ამას.

13. ეს დებულებები შეიძლება შევსებულ იქნას განსაკუთრებით დამატებებით, რომელიც შემდეგ კონგრესმა უნდა განიხილოს.

შევჩერდეთ ეხლავე ცოტაოდენი დეკლარაციისა და სტატუტების განხილვაზე. განხეთქილება ინტერნაციონალში მოხდა სწორედ ამ სტატუტებისა და დეკლარაციის შეცვლის და, მაშასადამე, ამხანაგობის მიზნის გადასხვაფერების გამო. ამხანაგობას ნათლად გამოხატული მუშათა ორგანიზაციის ხასიათი ჰქონდა, პროფესიონალური ორგანიზაციები, რომელნიც ჰქმნიდენ მის სიძლიერეს ისე უყურებდენ მას, როგორც მუშურ ორგანიზაციას, რომელსაც თავგამოდებული მონაწილეობა უნდა მიეღო შრომასა და კაპიტალს შუა არსებულ პირდაპირ ეკონომიურ ბრძოლაში. განსაკუთრებით ინგლისელებმა და ფრანგებმა ეს აზრი ნათლად გამოხატეს. მათ არ სურდათ, რომ პოლიტიკური კითხვა ყოვლის უმალ გასულიყო, მათი სურვილი იყო, რომ ორგანიზაციას შერჩენოდა ყოვლის უმალ ეკონომიურ ბრძოლის ორგანოს ხასიათი, რომ პოლიტიკურ კითხვებს ჰქონოდა სრულიად მეორე ხარისხოვანი ადგილი ამხანაგობის ცხოვრებაში და მოქმედებაში. საერთო საბჭოს კი, რომელშიაც ასე თუ ისე გერმანელები მეთაურობდენ, როგორც სჩანს ეხლა, თავიდანვე ჰქონდა განზრახული ამხანაგობის პოლიტიკურ ორგანიზაციად გარდაქმნა. მაგრამ თავიდანვე ამ განზრახვის გამოაშკარავება შეუძლებელი იყო, რადგან არც ფრანგები და არც ინგლისელები არ იყვნენ მომხრენი ამგვარად საქმის წაყვანისა. ინგლისელების მოხსენება, რომელიც, როგორც სჩანს მარქსის წერილებიდან, მისი შედგენილი იყო, ლაპარაკობდა იმაზე, თუ როგორ უნდა იქნას მოწყობილი კლასის ორგანიზაცია და პარტიის ორგანიზაციაო. აზრი, რომელმაც დღეს უკანასკნელად გაიმარჯვა სინდიკალურ მოძრაობაში. როგორც ამ ფრაზიდან: **ორგანოში მოყვანა კლასისა**, სჩანს, მაშინაც კარგად ჰქონდათ შეგნებული უპირატესობა კლასიური ორგანიზაციისა პარტიულ ორგანიზაციაზე, რომელიც დაუდეგარი და ჭრელია თავის შემადგენლობით. რომ ეს პროფესიონალური კავშირები არ დაეშინებიათ, გერმანელებმა დიპლომატობას მიჰყვეს ხელი, გარეგნულად ისინი ეთანხმებოდენ უმრავლესობის აზრს, ისე კი ყოველ ღონისძიებას, ყოველ სახსარს ხმარობდნენ, რომ თავისი გაეყვანათ. უნდა შევნიშნოთ, რომ გერმანელებს გარდა რამდენიმე კერძო პირისა (მარქსი, ენგელსი, ბეკკერი) არაფერი არ გააჩნდათ, გერმანიაში მათ სექციები არც კი ჰყავდათ, მათი საორგანიზაციო ძალა შესდგებოდა შვეიცარიაში მყოფ

ისტორიის შესწავლა გვაჩვენებს, რომ პროგრესი ძალთა და ფუნქციათა მთავრობის ხელში ცენტრალიზაციაში კი არ მდგომარეობს, რადგან ცენტრალიზაცია ძალათა მათი დასუსტების მომასწავებელია და ცენტრალიზაცია ფუნქციათა მათი დამახინჯების, არამედ დეცენტრალიზაციაში. დეცენტრალიზაცია დაქსასვა, დაფანტვა და როცა საზოგადოებრივ ერთეულზეა ლაპარაკი, პარტიკულარაზმი, კარჩაკეტილობა კი არ არის. ძალათა და ფუნქციათა დეცენტრალიზაცია მათი განადგურება კი არ არის, არამედ შექმნა ისეთ პირობებისა, სადაც ისინი უმაღლესის ენერგიით იჩენენ თავს. დეცენტრალიზაცია ნიშნავს: ძალა ძალას ბრმად აღარ მორჩილებს, ფუნქცია ფუნქციას არ აწვება თავზე, არ გლესს და არ ამახინჯებს, არამედ ნორმალურ პირობებში, ე. ი. თავისუფლებაში უკავშირდებიან ერთმანეთს, ჰქმნიან ავტონომიურ ძალთა და ფუნქციათა ნორმალურ, ე. ი. თავისუფალ ფედერაციას და ეს იმისათვის კი არა რომ ვისიმე კაპრიზი განხორციელდეს, არამედ იმისათვის, რომ განხორციელდეს უდიდესი პრინციპი ყოველ ნორმალურ პირობებში მყოფ საზოგადოებისა; უმცირესი ენერგიით უდიდესი რეზულტატის განხორციელება, როცა საზოგადოებრივ ძალათა და ფუნქციათა შორის ცენტრალისტური, ძალდატანებითი ურთიერთობაა—უმეტესი ნაწილი საზოგადოებრივ ენერგიისა მიდის იმაზე, რომ გარეგნულად დაცულ იქნას ჰარმონია ამ ძალათა და ფუნქციათა შორის. ვამბობთ გარეგნულად, რადგან ნამდვილი შინაგანი, ბუნებრივი ჰარმონიის დამყარება საზოგადოებრივ ძალათა და ფუნქციათა შორის არავითარ ცენტრალიზმს, არავითარ ძალდატანებას არ შეუძლია; ეს ძალუძს მხოლოდ ძალათა და ფუნქციათა თავისუფლებაზე დამყარებულ ურთიერთობას, ე. ი. ფედერაციას.

ამისათვის მე-XIX საუკუნეში მომხდარ ორ უდიდეს სოციალურ ცდათ—პარიზის კომუნა 71 წ. და კარფაგენის კომუნა 73 წ.—ხელმძღვანელობდა სწორეთ ეს დეცენტრალიზაციის და კომუნათა თავისუფალ ფედერაციის პრინციპი. ამ ორი უდიდესი და უდიდებულესი ცდის მიზანი იყო მოეხდინა დეცენტრალიზაცია იმ ძალათა და ფუნქციათა, რომელთაც თავი აქვთ მოყრილი თანამედროვე სახელმწიფოში და გადაეცა ისინი ავტონომიურ კომუნათათვის, რომელნიც საჭიროებისდაგვარად უნდა დაკავშირებოდნენ ერთმანეთს ფედერატიული კავშირით. მხოლოდ ამ გვარად მოწყობილ საზოგადოებრივ ერთეულებში ინდივიდი ჰპოვებს თავის პირადობის განსავითარებლად ნორმალურ პირობებს, ე. ი. თავისუფლებას.

ერთი სიტყვით მე-XIX საუკუნის გონებრივი განვითარების ისტორია გვიჩვენებს, რომ კაცობრიობის წინ მსვლელობას ასულდგმულებს და ხელმძღვანელობს ორგვარი მისწრაფება: ა) დამხობა ეკონომიური მონობისა, ე. ი. უკუ-გდება კაპიტალისტთ მომაკვდინებელ უღლისა, აღმოფხვრა ექსპლოატაციისა და კონკურენციისა, განხორციელება ეკონომიურ თანასწორობისა. ბ) ეკონომიურ თანასწორობასთან ერთად შექმნა ორგანოში მოყვანილ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ისეთ პირობათა, რომ ადამიანის პირადობის სრული და ყოველმხრივი ჰარმონიული განვითარება უზრუნველ-ყოფილი იყოს. ანარქიზმის მიზანი აი ამ ორ განუყოფელ მისწრაფებათა სრული განხორციელებაა.

სცნობთ თუ არა შესაძლებლად თქვენი მიზნის განხორციელებას თანამედროვე ეკონომიური განვითარების საფეხურზე?

ამ კითხვის შესახებ უკვე გვქონდა ლაპარაკი „ნობათში“. ჩვენ იმას არ ვამბობთ, რომ ეს კითხვა გავარჩიეთ სავსებით და დაწვრილებით, მაგრამ პრინციპიალურად პასუხი ამ კითხვას ჩვენ უკვე გავეცით. (იხ. „ნობათი“ № 1, 2, და 3. მეთაურები).

რა ნაირ ორგანიზაციას აღიარებთ საჭიროთ ამისთვის,

---

გერმანელების ჯგუფებით ამგვარ ძალით ინტერნაციონალის ხასიათის გამოცვლა პირდაპირი ზეგავლენით ძნელი იყო და მათაც სხვა სახსრები იხმარეს. ამ სახსართა შორის პირველი ადგილი ტექსტის გაყალბებას („პოდლოგი“) პირველი ადგილი უჭირავს. უმთავრესი სიყალბე ორია, რომლის მოხსენება ინტერნაციონალის ისტორიულ მიმოხილვაში დღეს აუცილებელ საჭიროებად არის გამხდარი და ჩვენც მოკლეედ შევეხებით მას.

სიყალბე პირველი.

ეკონომიური განთავისუფლება მუშა ხალხისა არის უმაღლესი მიზანი რომელსაც უნდა მორჩილებდეს ყოველი პოლიტიკური მოძრაობა, (როგორც სახსარი). ეს ადგილი რომ მოვიყვანეთ ჩვენ დეკლარაციაში სიტყვები „როგორც სახსარი“ ფრჩხილებში ჩავსვით, რადგან ეს სიტყვები მერმედ და სიყალბით იქნა მიმატებული, რათა თვით კავშირის დეკლარაციაში ეპოვნათ სოციალდემოკრატებს, თავიანთ ლეგალიზმის გამამართლებელი საბუთი. ამ სიტყვების მიმატების გამო დიდი ვაი უბედურება ატყდა ინტერნაციონალში. ყველაზე უმალ ეს სიყალბე შეამჩნიეს შვეიცარიელებმა და მას მერმედ დაწყებული ბრძოლა გათავდა თვით ინტერნაციონალთან ერთად. პირველი კონგრესი, როგორც ვსთქვით შვეიცარიაში, ჟენევაში მოხდა, ჟენევის კონგრესმა დაამტკიცა ეს დეკლარაცია და სტატუტები, მაშასადამე შვეიცარიელები ამ შემთხვევაში უფრო სანდო მოწმენი არიან და სწორედ ისინი ამბობენ და სწერენ, რომ ეს სიტყვები „როგორც სახსარი“ არ ყოფილა ტექსტშიო *). იუნგის, რომელიც თავიდგანვე იყო ინტერნაციონალში საქმის მწარმოებლად, ქაღალდებში იპოვნეს ბროშურა, გამოცემული მაშინვე კონგრესის შემდეგ**) ჟენევაში და ეს ბროშურა მართლა არ შეიცავს სიტყვებს, საშინელ სიტყვებს, რომლებმაც იმდენი ვაი-უბედურება დაატეხა თავზე ინტერნაციონალს და ბოლოს კიდეც დაანგრია იგი.

იეკი ამბობს***), რომ „პოდლოგის“ შესახებ აზრების გავრცელებას ზოგმა შემთხვევებმა შეუწყვეს ხელიაო. ყოველ შემთხვევაში ამ შემთხვევებს დიდი მნიშვნელობა აქვს. ოფიციალური ოქმები კონგრესისა გამოვიდა მხოლოდ 1867 წელს. საერთო საბჭომ ის, როგორც უნდოდა ისე შეიმუშავა. სულ სხვა იქნებოდა, რომ ოქმები მაშინათვე კონგრესის შემდეგ გამოსულიყო. მარქსისტები ამ დაგვიანების ასახსნელად ამბობენ, რომ ჟენევიდან ლონდონში დოკუმენტების გაგზავნა ფოსტით შეუძლებელი იყოვო, ლონდონში კაცი გავგზავნეთ და მას გავატანეთ ეს დოკუმენტები, მაგრამ გზაზე ნაპოლეონ III პოლიციამ გაჩხრიკა ის და დოკუმენტებიც წაართვაო. მართალია ეს დოკუმენტები შემდეგ დაიბრუნეს, მაგრამ არა სავსებით. თუ სავსებით, დაიბრუნეს დოკუმენტები უცვლელად უნდა დაბეჭდილიყვნენ, დოკუმენტებს კი, ცოტა არ იყოს, შეცვლა-შესწორება ეტყობათ, თუ ვერ მოიბრუნეს სავსებით, მაშ შეთხზეს დოკუმენტები და რაღა გასაკვირველია, ისინი სწორი

*) იხ. mennurris de la federation jurassienne.

**) Congrés Ouvrier de l'association des travailleurs tenu a Qenève du 3 au 8 septembre 1866".

***) იხ. მისივე უკვე მოხსენებული წიგნი გვ. 34

ჯგუფს თუ პარტიას? კარგად არ მესმის მნიშვნელობა ამ კითხვაში სიტყვა ,,ამისთვის"-სა. ცოტა არ იყოს, ნათელი კითხვის აზრს აბნელებს ეს სიტყვა, მაგრამ ცხადია აქ ჩვენს ორგანიზაციონულ პრინციპზეა ლაპარაკი.

სიტყვა პრტიისა ჩვენ არ გვეშინია. პ. კროპოტკინი, მაგალითად, მომხრეა ამ სიტყვისა, თუმცა ზოგი ამხანაგი სიტყვა ,,პარტიას'' ანტიპატიურის თვალით უყურებს, მაგრამ საქმე სიტყვაში ხომ არ არის, საქმე პრინციპშია. ჩვენი ორგანიზაციონული პრინციპი კი ფედერატიულია, ჩვენ უარვყოფთ იერარხიულ, ცენტრალისტურ პრინციპს ორგანიზაციისა, რადგან ეს ცენტრალიზმი პრაქტიკულად, ფაქტიურად მავნეა ღრმა შეგნებული მასიურ მოძრაობის განვითარებისათვის, ცენტრალიზმის უუმაღლეს არგუმენტად დღემდის ის მოსაზრება მოჰყავდათ, რომ ვითომც ის აუცილებლად საჭირო იყოს მოძრაობის გაერთიანებისთვის. ცხოვრება კი გვიმტკიცებს, რომ ცენტრალიზმი უძლურია მოძრაობის გაერთიანების საქმეში. სადაც ცენტრალიზმია, იქ უსათუოდ ბრძოლაა შიგ პარტიაში, პარტიის ერთობა მხოლოდ გარეგნულია. რუსეთის სოციალდემოკრატიის მაგალითი აშკარად ჰყოფს ამას. ცენტრალიზმი არათუ, როგორც ეს ზოგს ჰქონია, არ ჰქმნის ერთობას მოძრაობისა, არამედ ის მუდმივი მიზეზია პარტიაში უთანხმოების არსებისა. ცენტრალიზმი მომაკვდინებელია, როგორც ინდივიდის ისე მასსის ინიციატივის და თვითმოქმედებისა, ცენტრალიზმი მთავრობითი პრინციპია, ცენტრალიზმი მომატყუებელია, მისი სიძლიერე ყოველთვის გარეგნულია, ამისათვის ის არ ვარგა სარევოლიუციო მოძრაობის საორგანიზაციო პრინციპად; რევოლიუციონურ მოძრაობაში უმთავრესი მნიშვნელობა ცენტრს კი არა, მასსას უნდა ჰქონდეს, რევოლიუციას და სარევოლიუციო მოძრაობას ცენტრი კი არ ასულდგმულებს, მასსა ასულდგმულებს, რევოლიუციას და რევოლიუციონურ მოძრაობას გამგენი და ბრძანებელნი კი არ სჭირია, მას უნდა მომქმედნი, შეგნებულნი და ინიციატივის მქონე მებრძოლნი. ამ უკანასკნელთა აღსაზრდელად ცენტრალისტური ორგანიზაცია არ ვარგა. ჩვენი აზრით ასე მომზადებულნი მებრძოლნი აღიზრდებიან მხოლოდ თავისუფალ ორგანიზაციებში. რევოლიუციონერისთვის თავისუფლებაზე ლავარაკი კი არ კმარა. რევოლიუციონერი თავისუფლებისთვის მებრძოლია, ის არ უნდა იყოს უბრალო, უსულო იარაღი, უფორმო მასსა, რომელსაც, როგორც გინდა ისე მოიხმარ: ის უნდა იყოს თავისუფალი, თავის აზრის მქონე, თვით მომქმედი ინდივიდი. ის ორგანიზაციაში იმ მოსაზრებით კი არ უნდა შედიოდეს, რომ ვინმეს მიანდოს მის მაგიერ აზროვნობა, ის ორგანიზაციაში იმ აზრით უნდა შედიოდეს, რომ თავისი პირადი ენერგია, მოსაზრება, ინიციატივა და გამოცდილება დაუახლოვოს და დაუკავშიროს სხვა თავის მგზავსთ ენერგიას, ინიციატივას და გამოცდილებას. ეს კი მხოლოდ თავისუფალ ორგანიზაციაში არის შესაძლებელი. თავისუფალი ორგანიზაციის საუკეთესო ფორმა ფედერაციაა. ფედერაცია უნდა მოხდეს მგზავსთა, პრინციპით და მისწრაფებით მონათესავე ინდივიდთა შორის.—შესდგება ჯგუფები. და მგზავსი და პრინციპითა და მისწრაფებით მონათესავე ჯგუფებიც ერთმანეთს დაუკავშირდებიან და შესდგება ჯგუფთა ფედერაცია. ეს ჯგუფთა ფედერაცია შეიძლება იყოს ადგილობრივი, ნაციონალური ან საერთა შორისო, ეს დამოკიდებულია მოძრაობის მნიშვნელობაზე. ამნაირ ორგანიზაციაში ინდივიდის ინიციატივა არ იხშობა, ამ ნაირი ორგანიზაცია მასსის თვით მოქმედების განვითარებას ძლიერ უწყობს ხელს და თან შეძლებას გვაძლევს არ გავხდეთ მსხვერპლად თვით—ნებობისა და დიკტატურისა. მაშ ასე, ჩვენ გვწამს აუცილებელი საჭიროება ორგანიზაციისა, მაგრამ არა ცენტრალისტური, არამედ ფედერატი-

---

ალარ არიან. ერთი სიტყვით დოკუმენტები გამოქვეყნებულ იქმნენ მაშინ, როცა ყველას ყველაფერი დავიწყებული ჰქონდა, როცა მათი რევიზია შეუძლებელი იყო, ხოლო ის რაც მაშინათვე კონგრეს შემდეგ იქმნა გამოქვეყნებული, არ შეიცავს ნახსენებ ორ სიტყვას. მარქსისტები თავის მომხრე ჟურნალგაზეთებს ასახელებენ თავის გასამართლებლად, მაგრამ თავის კუდის მოწმედ მოწვევა რა თავის გამართლებაა. ტექსტი ჟენევის კონგრესზე ფრანგულად იყო წარდგენილი, მარქსისტები კი ინგლისურ და გერმანულ ტექსტს ებღაუჭებიან, რომელიც საფრანგეთის და სხვა ფრანგულ ენაზე მოლაპარაკე ხალხისთვის სრულიად გაუგებარია. კონგრესს იგლისური ტექსტი კი არ დაუმტკიცებია, მან ფრანგული ტექსტი დაამტკიცა. ერთი სიტყვით თავის მიზნის მისაღწევად, რომ გერმანელმა წევრებმა საერთო საბჭოისამ სადაცა გადააფუჩეჩ-გადმოაფუჩეჩეს ცხადია. ადვილი მისახვედრია თუ რისთვის ჩაუმატეს მათ ეს სიტყვები „როგორც სახსარი", ცხადია აგრეთვე ამ სიტყვების დიდი მნიშვნელობა. რა კი ერთხელ მიღებულ იქმნება, რომ ეკონომიური განთავისუფლების სახსარი პოლიტიკური ბრძოლა არის, მაშინ პარლამენტრიზმის წინ წამოყენება, როგორც პოლიტიკურ ბრძოლის ერთად ერთი ფორმა შესაძლებელი ხდება. ეს უნდოდათ გერმანელებს და ამის წინააღმდეგ ამხედრდა ლათინთა ხალხის ფედერაციები იურის ფედერაციის მეთაურობით. იურის ფედერაცია უცქერდა ინტერნაციონალს, როგორც ორგანოს სარევოლიუციო და საეკონომიო ბრძოლისას, გერმანელებთ კი სურდათ ინტერნაციონალი პოლიტიკანთა საბუნაგეთ გაეხადათ. აქედან მოკიდებული, ორი მიმართულება იჩენს თავს ინტერნაციონალში და ერთმანეთს უდგება წინ მოწინააღმდეგეთ. მათზე ჩვენ ვილაპარაკებთ, როცა ინტერნაციონალში მომხდარ განხეთქილებაზე გვექნება ლაპარაკი.

ეხლა გადავიდე **მეორე სიყალბეზე**, რომელიც კიდევ უფრო ცხადია და რომელიც კიდევ უფრო კარგად ახასიათებს ამ სიყალბის ჩამდენთ.

ეს სიყალბე ეხება მეოთხე მუხლს. ამ სიყალბის მიზანი იყო მიეთვისებია საერთო საბჭოსათვის ის უფლება, რომელიც მას არ ჰქონდა. თავიდგან ეს სიყალბე არავის შეუმჩნევია ყველა და თვით ბაკუნინიც კი დიდის ნდობის თვალით უყურებდა საერთო საბჭოს. თვით ბაკუნინმა ითხოვა ბაზელის კონგრესზე საერთო საბჭოს უფლებათა გაფართოება. ბაკუნინი შეცდა. მან მეტის მეტი ნდობა გამოიჩინა საერთო საბჭოსადმი, თუ როგორ ხსნის ბაკუნინი თავის შეცდომას ამას ვნახავთ, როცა ბაზელის კონგრესზე გვექნება ლაპარაკი.

ამ მეოთხე მუხლში შეტანილია ფრაზა, რომლის ძალით საერთო საბჭოს ნება ეძლევა თავის შესავსებად თვითვე მოიწვიოს ახალი წევრები. ამ ნაირად ერთხელ შემდგარი საერთო საბჭო დიკტატორი ხდება, როგორც უნდა ისე წაიყვანს თავის საქმეს, ოპოზიციას ვერავინ გაუწევს რადგან წევრებს თითონ ირჩევს და, რასაკვირველია, ისეთებს ამოირჩევს, რომელნიც მისი სრული მომხრენი არიან. საერთო საბჭოს ყოველთვის სურდა გაენთავისუფლებია თავი კონტროლისაგან, გამხდარიყო დამოუკიდებელი და აი ერთი პატარა ფრაზის ჩაკერებით საერთო სტატუტებში მოხერხდა ყველა ეს. მაგარი მხოლოდ ის არის, რომ ამ ნაირი ქცევა მას იაფად არ დაუჯდა, სიყალბე

ული. ფედერალიზმის პრინციპი ბოლომდი უნდა იყოს გაყვანილი. ჯგუფი უნდა წარმოადგენდეს თავისუფლად, შეგნებულად შეკავშირებულ და პრინციპიალურად მონათესავე ადამიანთა,—ფედერაცია ამ ნაირად განხორციელებულ ჯგუფთა კავშირს.

რა ტაკტიკას ადგეხართ თქვენი მიზნის- მისახწევად?

ტაკტიკა სამი ელემენტისაგან შესდგება: 1) პროპაგანდა და აგიტაცია, 2) ორგანიზაცია 3) მოქმედება. პროპაგანდას და აგიტაციას ჩვენის აზრით არ უნდა ჰქონდეს აზრად ისეთ ადამიანთა შექმნა, რომელნიც „უკერპოთ“ ვერ სცხოვრობენ და ვერ მოქმედობენ. სოციალისტური პროპაგანდა და აგიტაცია—კერპთ თაყვანის ცემის გავრცელება არ უნდა იყოს, ის უნდა ჰქმნიდეს თავისუფალ მოაზრეთ შეგნებულ ადამიანთ, შეგნებულ სოციალისტთ, ვაჟკაცთ გონებით, თვითმომქმედთ, ინიციატორთ. კერპთთაყვანის-მცემელნი ცხვრის ფარას წარმოადგენენ, რომელსაც მწყემსი—კერპი საითაც უნდა იქით გარეკავს. ცხვრის ფარა ვერც შეჰქმნის და ვერც მოამზადებს სოციალურ რევოლიუციას, სოციალისტი უნდა იყოს ადამიანი სრული გონებრივად და ზნეობრივად, გამბედავი ლოღიკურად და ფიზიკურად. პროპაგანდას და აგიტაციას ამნაირ სრული ადამიანის შექმნა უნდა ჰქონდეს სახეში და არა შექმნა კერპთთაყვანის-მცემელთა ცხვრის ფარისა.

ორგანიზაციაზე ზემოთ ვილაპარაკეთ.

რაც შეეხება მოქმედებას ამ საკითხის შესახებ ცოტა რამეს ვიტყვით ჯერჯერობით, სხვა მერმისთვის იყოს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბრძოლა უნდა სწარმოებდეს კლასიურ ნიადაგზე კლასიური სახსრებით. კლასიურ სახსართა შორის აქ შეიძლება დასახელება მხოლოდ ბოიკოტის, საბოტაჟის, გაფიცვის, საერთო გაფიცვის და რევოლიუციის. ერთი სიტყვით, ბრძოლა კლასსიური, პირდაპირი, ექსპლოატატორთ კლასთა წინააღმდეგ, ბრძოლა ყოველ დღიური, თანდათანი- ბრძოლა ყოველ გვარ ძალმომრეობისა, ყოველი ექსპლოატაციის ფორმის წინააღმდეგ ფორმის განურჩევლად. პროლეტარიატის საბრძოლი სახსრები არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ მის კლასიურ თვით შეგნებულობის განვითარებას. მისი ყოველდღიური ბრძოლა უნდა იყოს განუწყვეტები და თანდათანი ცდა სრული თავისუფლების განხორციელებისა.

საზოგადოების რომელ ერთეულში სცნობთ შესაძლებლად ანარქიული კომუნის განხორციელებას?

ეს კითხვა თავის პასუხს შეიცავს. ანარქიული კომუნა არის ის საზოგადოებრივი ერთეული, რომელშიც უნდა განხორციელდეს ანარქიული კომუნიზმი. (იხ. ჩვენი პასუხი მიზნის შესახებ).

რანაირი დამოკიდებულება უნდა იქმნეს ამ კომუნებ შორის ან როგორ უნდა მოეწყოს ამნაირი კომუნების დროს მსოფლიო წარმოებრივი დამოკიდებულება. ეს კითხვა უკვე მომავალი საზოგადოების მოწყობის წვრილმანებს შეეხება. მომავალი საზოგადოების გეგმების აშენებას დიდი პრაკტიკული მნიშვნელობა არ აქვს, რადგან ყოვლად შეუძლებელია წინდაწინვე შემუშავება უტყუარი და საბოლოო პლანისა. ჩვენ შეგვიძლია დავამყაროთ პრინციპი, ჩვენ შეგვიძლია გადაწყვეტით ვსთქვათ რა არ უნდა იყოს მომავალ საზოგადოებაში, მაგრამ არა დაწვრილებით ჩამოთვლა იმისა რა და როგორ იქნება მომავალ საზოგადოებაში. კომუნებს შორის რანაირი დამოკიდებულება უნდა იქნეს ეს ჩვენ უკვე ვსთქვით. აუცილებელი საჭიროების ზეგავლენით კომუნები ერთმანეთს დაუკავშირდებიან და შეადგენენ ფედერაციას. ვსთქვათ შვეიცარია ოცდა ორი კომუნისაგან შესდგება, საფრანგეთი სამას ორმოცდაათისაგან. ამ კომუნათა შორის იძულებული კავშირი არსებობს, ყოველივეს ცენტრი განაგებს. ჩვენი აზრით

---

გამოაქვეყნეს, პირველ სიყალბეს მოემატა მეორე, მიზეზი განხეთქილებისა გაიზარდა. ეს სიყალბე ცხადია, მისი გამართლება დღემდის ვერავინ შესძლო. იეკი, „პატიოსანი“ იეკი, *) რომელიც ისეთი სიამოვნებით ამახინჯებს ფაქტებს, იგონებს, თხზავს არ არსებულ ფაქტებს, როცა დამახინჯება აღარ ჰყოფნის, იძულებულია აღიაროს, რომ სიტყვები იმის შესახებ, რომ საერთო საბჭოს მიენიჭოს უფლება თითონვე თავის სურვილისამებრ შეივსოს თავიო, **არ არის სტატუტების უკანასკნელ რედაქციაშიო**. მაგრამ, ამბობს იეკი, „ეს სიტყვები მართლა იყო ორგანიზაციის პროექტშიო. საწყალი იეკი. რა ქნას, თუ მეტი ვერაფერი მოიგონა! მაგრამ რაც მოიგონა ის კარგი კი არსს! პროექტში იყო აღნიშნული სიტყვები, კონგრესიდან შესწორებულ და დამტკიცებულ სტატუტებში კი არა. ალბად კონგრესმა გამოუშვა ეს სიტყვები, მაგრამ, რადგანაც მარქსისტებს ძალიან სჭიროდათ ეს სიტყვები თავიანთ არ წმინდა მიზნის მისახწევათ, კონგრესს მერმედ ეს სიტყვები ფარულად, ჩუმად ჩააკერეს სტატუტებში. ასეთია მათი ჭეშმარიტებისა, ზნეობრიობის სიყვარული. ასე აასრულეს მათ ინტერნაციონალის დავალება. ეს ორი „პოდლოგი“ გაიზარდა შემდეგში ორ უზარ-მაზარ კითხვებად—პარლამენტარიზმი და ცენტრალიზაცია რომელთა შესახებ არა ერთხელ და ორხელ გვექნება კიდევ ლაპარაკი ეხლა გავარჩიოთ ის ადგილი სტატუტისა, რომელიც თუმცა ყალბი არ არის, მიღებულ იქნა კონგრესისაგან საერთო საბჭოს ზეგავლენით და რომლის მიღებას დიდად ცუდი შედეგი ჰქონდა ინტერნაციონალის ზრდა და წარმატებისთვის. ასეთია მუხლი მეცხრე: ინტერნაციონალის წევრად შეიძლება იყოს ყველა ის, ვინც მომხრეა მისი და იცავს მის პრინციპებს. ამ მუხლის მიღებით დაირღვა კლასიური ხასიათი ინტერნაციონალისა, ნიადაგად შეკავშირების ინტერნაციონალში ამ გვარად გამოცხადებულ იქნა არა ის კლასიური ეკონომიური ინტერესი, რომელიც თითქო ორგანიულად აერთებს, აერთსისხლხორცებს მუშებს, ხდის მათ ერთ განუყოფელ კლასად, არამედ აზრი, რომელიც ცვალებადი და დაუდეგარია. ისეთი დიდი და დიდ მომავლიანი ქმნილებისათვის, როგორც ინტერნაციონალი იყო, საჭირო იყო მკაფიოდ დადგომა კლასიურ ნიადაგზე, მან კი საორგანიზაციო ნიადაგად ფსიხოლოგიური მომენტი აირჩია. როცა ორგანიზაცია დიდი დი მძლავრია, როცა ის შეძლებას აძლევს ამას თუ იმას იმედი იქონიოს, რომ მისი წყალობით, ცოტა არ იყოს, მაღლა აიწიოს, საზოგადოებას სათავეში ჩაუდგეს, მაშინ მის მომხრეთა რიცხვი უცებ იზდება, მას ემხრობა ყველა უსაქმო და კარიერისტიც კი. საჭირო იყო, **როგორც ამას თხოულობდნენ ფრანგი-მუშები გამოცხადება იმისა, რომ ინტერნაციონალი შრომის ორგანიზაციაა და რომ მასშიდ შესვლა შეუძლია მხოლოდ ერთის განსაზღვრული სოციალური კატეგორიის ხალხს** საფრანგეთის მუშათა წარმომადგენელთ ფრიბურგსა და ტოლენს კარგად ესმოდათ საჭიროება კითხვის აგრე დაყენებისა და ამისათვის ზემო მოყვანილ მეცხრე პუნქტის განხილვის დროს მათ ასეთი რედაქცია წამოაყენეს წინ: „საერთაშორისო ამხანაგობის წევრებად შეიძლება იყვნენ მხოლოდ

*) იხ. მისი ხსენებული წიგნი გვ. 36

ეს კავშირი უნდა მოხდეს თვით კომუნათა სურვილისამებრ. ამნაირად თავისუფალ ფედერაციებს ექნებათ ერთი საზოგადო ბიურო, დროებითი ან მუდმივი, რომელიც შესდგება ჯგუფთა ან კომუნათა დელეგატებისაგან. ამ საბჭოს კონგრესის ხასიათი ექნება და მაშასადამე ის არც კანონმდებელი, არც აღმასრულებელი მთავრობა არ იქნება. მას ექნება მიზნად მხოლოდ შემუშავება ნიადაგის, საზოგადო პრინციპის ფედერაციათა შორის ურთიერთობის დასამყარებლად. თვით ეს ურთიერთობა-კი ფედერაციათა შორის პირდაპირი საქმის ქონით დამყარდება. ნაწარმოების გაცვლა-გამოცვლა დამყარებული იქნება ერთი მხრით ეკვივალენტობაზე, მეორე მხრით სოლიდარობის პრინციპზე. ვიმეორებთ ეს მომავალი საზოგადოების ორგანიზაციის წვრილმანებს ეხება—მათ შესახებ მთელი წიგნებია დაწერილი, შეიძლება ცოტა დროში მოხერხდეს მათი გამოცემა ქართულ ენაზე. სავსებით პ-სუხი მხოლოდ იქ შეიძლება ნახოს მკითხველმა და არა მცირედ, საპასუხოთ დაწერილ სტატიაში. აქ საჭიროთ მიმაჩნია ვსთქვათ, რომ ტყუილია ის აზრი, ვითომ კომუნა ძალიან პატარა ერთეული იყოს. პარიზი მაგალითად განხილულია კროპოტკინისაგან, როგორც ერთი კომუნა და პარიზი მცხოვრებთა რიცხვით საქართველოზე მეტია. ასეთი კომუნები და განსაკუთრებით მათი ფედერაცია ბევრად უფრო ნაკლების ენერგიით შესძლებს ბევრად უფრო მეტი რეზულტატის განხორციელებას. მხოლოდ ასეთი საერთაშორისო მოწყობილება მოსპობს პარტიათა ბრძოლას, რადგან შექმნის საჭირო პირობებს ეთნიურად მონათესავე ჯგუფების თავისუფალ ფედერაციის, თავისუფალ კავშირისთვის—მაშინ განხორციელდება ჩვენი საზოგადო ფორმულა: თავისუფალი ადამიანი თავისუფალ კომუნაში, თავისუფალი კომუნა თავისუფალ ფედერაციაში თავისუფალ ფედერაციათა ძმური კავშირი მთელ დედამიწაზე.

კ.

## კ ა ნ ო ნ ი

### IV

(გაგრძელება).

ავილოთ სხვა დარგნი ადამიანის ცხოვრებისა,—მეცნიერება, ხელოვნება, სხვა და სხვა ჩვეულებანი, ვნებანი ადამიანისა, წარმოდგენანი ადამიანისა ცუდსა და კარგზედ,—ავილოთ სარწმუნოება ზნეობა, და განვიხილოთ, აქვს რამე თუ არა საერთო კანონს ერთი მხრითა, და მეცნიერებასა, ხელოვნებასა, სარწმუნოებას და ზნეობას მეორე მხრით. მეცნიერებისა და ხელოვნების წარმოშობა აგრეთვე სულ სხვა არის, ვიდრე კანონისა. აიღეთ რომელიც გინდათ დარგი მეცნიერებისა, გამოგონებისა და ხელოვნებისა, განიხილეთ მათი გრძელი ისტორია და მაშინ გაიგებთ რომ იგინი პირდაპირი ნაყოფნი არიან თვით ადამიანის ბუნებასთან განწყობილებისა, თვით ადამიანის მოქმედებისა და მასზედ ბუნების გავლენისა. ადამიანის დაკვირვებამ და ცდამ არ შექმნა მთელი მეცნიერება და მთელი ფილოსოფია ძველად და შემდეგ, ადამიანის მუდმივმა მოქმედებამა და ბუნების ფარგალში ტრიალმა, ბუნებასთან ბრძოლამ არ შექმნა მთელი ტეხნიკა, ის შთანაჩენი საწარმოო იარაღთა, რომელთაგანაც ბოლოს თანამედროვე გიგანტურისა წარმოო ძალები განავითარა კაცობრიობამ? განიხილეთ აგრეთვე ისტორია ხელოვნებისა,—და არ გადიშლება თქვენ თვალის წინ ის თვალ-წარმტაცი სურათი, თუ როგორ განვითარდა ხელოვნება უბრალო ველურის მიერ სილაზედ ხაზის სმიდან რაფაელამდე, უბრალო კერპის ქანდაკებიდამ ფიდიასამდე, უბრალო ღრიალიდამ ჟორჟ ბიზემდე. რა ჰქონდა საერთო ყოველივე ამას კანონმდებლის სურვილთან, ან კანონთან? გალილეები, კეპლერები, ნიუტონები, ვატტები და სტეფენსონები, ვაგნერები და რაფიელები, მთელი მოძრაობა გონებრივი, მთელი მეცნიერება განა კანონმდებელთა **წინააღმდეგ არ განვითარდა?** სოკრატს განა საწამლა-

---

მუშები-მოხელეები,“ მაგრამ ეს რეზოლიუცია, რომ გასულიყო მაშინ მარქსი-ენგელსი თავის ჟურნალისტთა და პოლიტიკანთა ამალით ხომ დარჩებოდა გარედ! ამისათვის ფრანგების წინააღმდეგ ერთი ვაი-უშველებელი ასტეხეს, მათი რედაქცია უარჰყვეს და მათი ნათელი რედაქციის ადგილას მიიღეს ის რედაქცია მეცხრე მუხლისა, რომელიც ჩვენ მოვიყვანეთ თავის ადგილზე. ინტერნაციონალში შეუძლია შევიდეს ყველა იმას, ვინც მის პროგრამას ემხრობაო. ამნაირად მუშებთან ერთად ინტერნაციონალში მოხვდა არა თუ არა მუშები, არამედ გულ-ღია მოწინააღმდეგენი სოციალიზმისა, მაგალითად კულერი, ინგლისელი კონსერვატორი ბერი (ენგელსის პროტეჟე), ბაზელის პროკურორი და სხვები და ეს აგრე მოხდა იმისათვის, რომ როცა ინტერნაციონალში დიდი მოზარდი ძალა დაინახეს ყველა მას მიეკედლა; ეგებ რამეში გამოვიყენოთო: ინტერნაცონალის შემადგენლობა აჭრელდა, აირია. ეს დიდი შეცდომა იყო. ინტერნაციონალი მუშათა ორგანიზაცია უნდა ყოფილიყო, მას განუწყვეტელი მონაწილეობა უნდა მიეღო მუშათა ყოველ-დღიურ ბრძოლაში და აბა რა საჭიროა მისი შემადგენლობის ისე აჭრელება! რა კარგი გავლენა უნდა იქონიოს მუშათა ყოველ დღიურ ბრძოლაზე, მაგალითად გაფიცვაზე, ჰუმანიტარულ ფრაზების მორახარუხე კონსერვატორმა, კაპიტალისტმა ან მეპატრონემ! სრულიად მართალნი იყვნენ ფრანგი-მუშები, რომელნიც ამ პუნკტს უარყოფდენ, სრულიად მართალნი არიან დღევანდელი საფრანგეთის სინდიკალური ორგანიზაციები, რომელნიც ამ პუნკტს უარყოფენ და თავის ორგანიზაციებში მხოლოდ მუშებს, განსაზღვრულ სოციალურ კატეგორიის ხალხს, უყრიან თავს. *) მაგნაირად გადაწყვეტას ინტერნაციონალის შემადგენლობის საკითხის სხვათა შორის ის ცუდი შედეგი ჰქონდა, რომ რაც კი რამ ბურჟუაზიას „ჩაფლავებული“ პოლიტიკანები ჰყავდა სულ აქეთ გადმოვიდნენ: ეგებ აქ გვეშველოს რამე, ეგებ აქ ვიხაროთო. საუბედუროთ ბევრი ამ კარიერისტთაგანი მართლა შეიქნენ ზოგიერთ ქვეყნებში ინტერნაციონალის გამგე-მეთაურებათ. ამას გარდა თუმცა მეხუთე პუნქტში ნათქვამია რომ საერთო საბჭო მუშებისაგან შესდგებაო, მაგრამ იქაც უპირატესობა—გამგეობა უსაქმო ინტელიგენციას ხვდა. მოხდა ის რაც არ უნდა მომხდარიყო: ინტერნაციონალი ინტელიგენციის საგლეჯი ძალა გახდა, ყველა თავისკენ მიეწიწებოდა მას, ყველას თავისებურად უნდოდა ეხმარა ის უზარმაზარი ძალა რომელსაც ინტერნაციონალი წარმოადგენდა.

ამნაირად, სტატუტების შესახებაც აზრი გაიყო. ზოგს და მათ შორის ფრანგებს, სურდა რომ ინტერნაციონალს სახეში ჰქონოდა კლასის ორგანოში მოყვანა (**организовать въ классъ**), ზოგს, და მათ შორის გერმანელებს, სურდა ინტერნაციონალის პოლიტიკურ პარტიად გარდაქმნა. ამ ნაირად ინტერნაციონალში თავიდგანვე იჩინა თავი სხვა და სხვაობამ სამი კითხვის შესახებ, ეს კითხვებია: პოლიტიკა, ცენტრალიზაცია და დასასრულ კლასი თუ პარტია.

---

*] იხილე E. Pouget Les bases du syndicalisme და le parti du travail.

ვი არ დაალევინეს, ჯიორდანო ბრუნო არ დასწვეს, გალილეის განა თვალები არ დასთხარეს? განა საუკეთესო მწერლები და ასე გასინჯეთ გამომგონლებიც შიმშილით არ იხოცებოდნენ, დევნილ არ იყვნენ მთავრობისაგან და მისი დამქაშებისაგან? და ეხლაც განა ოფიციალური მეცნიერება არა სდევნის ყოველთვის ახალ მიმდინარეობა მეცნიერებაში? ეკკლესია, მთავრობა და აკადემიები განა სულთა მხუთავი სიკვდილებივით არ ადგიან თავს ყოველივე ახალ აზრს, ყოველივე ახალ გამოგონებას, ყოველივე ახალ აღმოჩენას? განა მუდმივი ბრძოლა არ არის ოფიციალურ ძალისა,—კანონის შორის და მეცნიერება—ხელოვნების შორის ყოველთვისა და ყოველგან? მხოლოდ დრეპერის წიგნის წაკითხვაა საკმარისი, სხვა რო არა იყოს რა, ევროპის გონებრივ მოძრაობის შესახებ, რომ კაცმა გაიგოს, რომ სწორედ ადამიანის თავისუფალ შემოქმედებას, ადამიანის აზრის თავისუფალ კვლევა ძიებასა და მიმდინარეობის არა აქვს არავითარი საერთო კანონთან, არამედ იგინი ერთი—ერთმანეთის გამომრიცხველი და მტერნი იყვნენ, არიან და იქმნებიან ყოველთვის. შეიძლება ყოველივე დააკანონო,—ადამიანის ადამიანთან განწყობილება, ქონებრივი და სხვა ათასნაირი, მაგრამ რეგლამენტაცია ადამიანის აზრისა—ყოვლად შეუძლებელი რამაა, აბსურდი და თანაც იმგვარი უსირცხვო რამ ტლანქი დესპოტიზმი, რომ ისტორიის ჟამთა ვითარებაში ამ აბსურდს წინაალმდეგ ბრძოლას ვეებერთელა ადგილი უჭირავს ადამიანის ცხოვრებაში, ამ ბრძოლაში დაღუპულა არა ერთი ტალანტი და გენიოსი.

„მიეცით ნიჭსა გზა ფართოო“—სთქვა პოეტმა. მეცნიერება და ხელოვნება ანარხიული იყო ყოველთვის, დასაბამიდამ,—და იქმნება კიდეც;—ეხლაც ძვირად ნახავთ იმისთანა სერიოზულ მეცნიერს, რომ თავისი აზრით, თავისი მეცნიერული აზრით და მეთოდით ანარხისტულად არ მსჯელობდეს, ანარხისტი არ იყოს მეცნიერებაში. ეს კარგად შენიშნა მძლავრმა, ღრმად და შორს მჭვრეტელმა იტალიელმა ფილოსოფოსმა ჯიოვანნი ბოვიომ და სთქვა: lo pensiero è anarchico egli é diretto verso l' Anarchia!—აზრი ანარხიულია, იგი მიმართულია ანარხიისაკენო!—კანონი პირველად მეცნიერებამ უარჰყო! მაგონდება ერთი სერიოზული ავსტრიელი პროფესორის (იურისტის) სიტყვები: სახელმწიფოს ეხლაც უხდება ხოლმე მეცნიერებისა და ხელოვნებისა ბევრ დარგთა გაძლოლა, რადგანაც კერძო პირთათვის იგინი ხელ-საყრელი არ არიანო მომავალ საზოგადოებაში ეს აუცილებელი იქმნებაო!—როგორა სცდება პატივ-ცემული განსვენებული პროფესსორი! სახელმწიფოს თავისათვის სასარგებლოდ უნდა მოიხმაროს მეცნიერება—მას წმინდა მეცნიერება არ აინტერესებს. მას პრივილეგიად უნდა გაიხადოს ტეხნიკა, რომ რეაქციის დროს ამდგარ მონათა წინაალმდეგ ზარბაზნები იხმაროს. მას ბავშების მონობაში აღსაღზრდელად უნდა სკოლა, რომ მონანი შემდეგ კარგად იმსახურონ. მას უნივერსიტეტები თავიანთ ბიუროკრატთა საკეთებელ ქარხნებათ გადაუქცევიათ,—და სწორედ ამიტომა სდევს ისეთი მკვდარი, უსიცოცხლო ფერი თანამედროვე უნივერსიტეტებს, თანამედროვე ოფიციალურ მეცნიერებას. ამ უკანასკნელს უნდა თავი დაახწიოს ოფიციალურ აკადემიებს და განთავისუფლდეს, გაანარხისტდეს, ეს არის მისი იდეალი, ეს იყო, არის და იქნება მუდმივი მისი მისწრაფება. **მეცნიერება ყველასათვის, მეცნიერება პრაქტიკულად გამოყენებული ისე, რომ ადამიანის ძალთა ეკონომიის პრინციპი განხორციელდეს**, და არა მეცნიერება—პრივილეგია რამოდენიმე უტვინოთა სიმდიდრეში ჩამხჩალთა, არა მეცნიერება ზარბაზნებისა და პულემიოტების მკეთებელი, ხალხის გასანადგურებლად და საბარბაროსოდ!—აი რა არის იდეალი თვით მეცნიერებისაცა და თვით დიდ მეცნიერთაც

---

უნდა აღვნიშნოთ აქ რომ სოციალისტური თვით შეგნებულება ინტერნაციონალის წევრების ერთი ნაწილის ჯერ კიდევ კარგად არ იყო განვითარებული შემდეგ კი, როცა თვით შეგნებულება განვითარდა, როცა სოციალიზმი ნათლად გამოჩნდა ინტერნაციონალში და მის წევრთა შორისაც დიფერენციაცია მოხდა, სხვა და სხვაობა, რომელიც ჩვენ აღვნიშნეთ გარდაიქმნა ორ ნათლად გამოხატულ მოწინაალმდეგე სოციალისტურ მსოფლიო მხედველობად.

## რეზოლიუციები ჟენევის კონგრესისა.

რაკი სტატუტები და დეკლარაციის განხილვა გათავდა კონგრესი შეუდგა სხვა კითხვათა გარჩევას. პირველად განხილულ იქმნა საკითხი იმის შესახებ, თუ რა ზომებით უნდა მოხდეს მუშათა ენერგიისა და მისწრაფებათა გაერთიანება იმ ბრძოლაში, რომელიც სწარმოებს შრომასა და კაპიტალს შუა. საერთო საბჭომ ამის შესახებ შემდეგი მოსაზრებანი წარმოადგინა:

a) თუ ზოგადათ შევხედავთ ამ კითხვას ის შეიცავს ინტერნაციონალის მოქმედებას სულ ერთიანად. ინტერნაციონალის მიზანია გაერთიანება სხვა და სხვა ქვეყნების მუშათა კლასების გაფანტულ მისწრაფებათა, მისი მიზანია ამ მისწრაფებათა გაფართოება და გაერთსულება.

b) ერთ სპეციალურ მიზანთაგანი ინტერნაციონალისა, რომელიც ზოგიერთ ადგილას კარგადაც იქნა განხორციელებული, იმაში მდგომარეობს, რომ დაიცვას მუშები კაპიტალისტთ ინტრიგებიდან. კაპიტალისტები გაფიცვების დროს მზად არიან გამოიწერონ მუშები სხვა ქვეყნებიდან, რომ ამ გვარად ხელი შეუშალონ მუშებს მათ მოთხოვნილებათ განხორციელებაში. ერთი უდიდესი მიზანთაგანი ინტერნაციონალისა იმაში მდგომარეობს, რომ სხვა და სხვა ქვეყნის მუშები არა თუ გრძნობენ, რომ ისინი ძმები არიან, არამედ სცნობენ თავიანთ თავს ერთ განმათავისუფლებელი არმიის შეერთებულ ნაწილებად.

c) საერთაშორისო შეერთების განსახორციელებლად შემდეგ წინადადებას ვაძლევთ კონგრესს: თვით მუშებმა უნდა ეცადნონ და გამოიკვლიონ სტატისტიკურად, თუ როგორია მდგომარეობა მუშათა კლასებისა სხვა და სხვა ქვეყნებში. გამარჯვების იმედით, რომ შეიძლებოდეს მოქმედება, საჭიროა ცოდნა იმ მასალისა, რომელზედაც უნდა ვიმუშაოთ. ამას გარდა, მუშები, რომლებიც იკისრებენ ინიციატორობას ასეთი დიდი საქმისას დაამტკიცებენ ამით, რომ მათ საკმაო ნიჭი აქვთ თვითვე მოაწყონ თავიანთ სვე-ბედი. ყველა ამისთვის წინადადებას გაძლევთ რომ:

ყველგან, სადაც კი არსებობს განყოფილება ამხანაგობისა ეხლავე შეუდგნენ საქმეს, და დაიწყონ მასალის შეკრება იმ კითხვების შესახებ, რომელნიც ჩამოთვლილ არიან კითხვების ტაბლიცაში.

კონგრესმა უნდა გამოაქვეყნოს მოწოდება ევროპის და ამერიკის მუშებისადმი, რომელშიდაც ის სთხოვს მათ თანამშრომლობას სხვა და სხვა ქვეყნის მუშათა კლასების მდგომარეობის შესახებ სტატისტიკის შეკრებაში. მოხსენებები და აღრიცხვები გაგზავნილ იქნეს ცენტრალურ საბჭოში. ცენტრალურმა საბჭომ უნდა შეიმუშაოს ერთი საერთო მოხსენება,

ყველას ვისაც ნიჭი უღვივის გამოკვლევისა, ღრმა ცდისა, აღმოჩენისა, აზრისა,—ყველასათვის მეცნიერებით დატკბობა, ყველასათვის შემოქმედების ასპარეზი, თავისუფალი და შეუზღუდველი,—კომბინაცია ამ ნიჭთა, რომელიც ბუნების საიდუმლოებათა სიღრმეს უფრო დიდად გადაგვიშლის თვალ წინ,—და არა მეცნიერება მდიდართათვის, რომელთა შორის შეიძლება ნახევარი კრეტინი იყოს, და იმავე დროს ხალხთა მასსა რჩება უსწავლელი, სიღარიბეში სულთ მობრძავი, მაშინ როდესაც იგი დაუშრეტელი წყაროა ბუნებით ბრძენ და შემოქმედების ნიჭით აღჭურვილებითა,—აი იდეალი ანარხიული საზოგადოებისა. მეცნიერების შესწავლა მას უნდა შეეძლოს, ვისაც თავი აქვს მოწყობილი მეცნიერებისათვის, და არა იმას ვისაც ფულით აქვს ჯიბე სავსე. თანამედროვე კანონი კი უკანასკნელის მომხრეა. მომავალი **კანონის** როლი კი, თუ მან მეცნიერებასაც მოჰკიდა ხელი, კიდევ უარესი იქნება ალბად, რადგანაც იგი, მაგალითად კოლლექტივურ საზოგადოებაში, სიმდიდრე-სიღარიბის მოწმობას აღარა სთხოვს ხალხს უნივერსიტეტის კარებში: ჟანდარმი ლაბორატორიაში, ჯაშუში ლიტერატურის კაბინეტში, რომ „საზოგადო ინტერესის“ წინააღმდეგ არავინ დასწეროს რამე, ჯალათი სკულპტორს, თუ მან „საზოგადო ზნეობა“ შელახა და სხვა, ან ოფიციალური აგენტი ნიუტონების ობსერვატორიაში, რომ ანგარიში გაუსწოროს ხოლმე ასტრონომიულ გამოკვლევათა დროს?!

რა უნდა ითქვას ხელოვნებაზედ, რომელიც უფრო ფაქიზია, უფრო ნაზი კიდევ, ვიდრე მეცნიერება? სად გინახავთ რომელიმე დარგი ხელოვნებისა, სახელმწიფოს ხელში რომ მართლა ხარობდეს? სახელმწიფო, კანონი და ხელოვნება—ეს იმას ნიშნავს—ვირი რომ ვარდების გამშენებლად დააყენო! წინააღმდეგ—ხელოვნება თავის დღეში არა ხარობს იქ, სადაც დესპოტიზმისა და კანონის ტახტია დადგმული, მაშინ როდესაც შეიძლება კიდევ მეცნიერებამა და გამოგონებამ რაიმე ნაყოფი გამოიღოს.

მომავალ საზოგადოებაში კი რა უნდა ჰქნას კანონმა ხელოვნების მხრივ? ჟანდარმმა ჰიანური დაიკავოს, ჯაშუშები კომპოზიტორებად გადიქცენ, მთავრობის მიერ დანიშნული აგენტები მსახიობებად, სკულპტორებად და მხატვრებად, თუ სახელმწიფომ ცეცხლი უნდა ჩაუდვას მხოლოდ გულში ყველა ამათ? ჰმ! ცეცხლი თვით იდეაშია, თვით ხალხის გონებისა და მოქმედების წყაროდანა ზიდვს ცეცხლს არტისტი, და ამ ცეცხლს იგი მთავრობისა და კანონის გულში ვერ ნახავს, ვერასოდეს, როგორც არ უნახავს აქამდის. მაშ დახმარებაზედ იქმნება ლაპარაკობს მენგერი სახელმწიფოს მხრივ? ეს კი სულ უბრალო რამ არის,—სიტყვის ბანზედ აგდება, პროფესორს არ შეშვენის ამგვარი არგუმენტებით ამტკიცოს კანონის და სახელმწიფოს საჭიროება მეცნიერება ხელოვნებისათვისაც კი: კომმუნისტიურ საზოგადოებაში თვით მეცნიერები, თვით ხუროთმოძღვრები და არტისტები, ყოველი დარგისა და ყოველი ხელოვნებისა თვით აიშენებენ თავის გემოზედ თავის უნივერსიტეტებს, თავის აკადემიებს, ლაბორატორიებს, თვით მოამზადებენ მუსიკალურ ინსტრუმენტებსა და სამეცნიერო საზომ იარაღებს, რადგანაც საწარმოო საშვალებანი მათ ხელ-ქვეით იქმნება, და აღზრდაც ინტეგრალური,—არტისტული, ხელოსნური და მეცნიერული ექმნებათ. მაშინ აღარ იქმნება კითხვა—„ხელ საყრელია“ თუ არა ესე თუ ისე სამეცნიერო ანუ სახელოვნო დარგი? მაშინ მეცნიერება გონების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად იქნება, ბუნებასთან საბრძოლველად, ხელოვნება კი გემოთა დასატკბობად და განსავითარებლად. კითხვა მოგება-წაგებისა მოისპობა.

მიეცით ნიჭსა გზა ფართო—აი ერთად ერთი „კანონი“ მეცნიერებისა და ხელოვნებისა. სხვა კანონი მას არ უნდა, და

---

რომელსაც ის დაუმატებს კერძო მოხსენებებს და რომელსაც წარუდგენს მახლობელ კონგრესს განსახილველად; თუ მოხსენება კონგრესისაგან მოწონებულ იქნება ის გამოქვეყნებულ იქნება ამხანაგობის საფასით.

ამ წინადადების გარჩევის დროს შეეხენ ერთ ძლიერ მწველ კითხვას—გაფიცვას, რომელმაც ბევრი სჯა-ბაასი გამოიწვია განსაკუთრებით ფრანგთა და ინგლისელთა შორის. ამ კითხვის გარჩევის დროს აღმოჩნდა, რომ ინგლისელებს და ფრანგებს სულ სხვა წარმოდგენა ჰქონდათ ამხანაგობის დანიშნულებაზე. ინგლისელები უყურებდენ ამხანაგობას ისე, როგორც ძველი ტიპის პროფესიონალურ ორგანიზაციას, ტრედ-უნიონს, მხოლოდ იმ გარჩევით რომ ინტერნაციონალი საერთაშორისო ორგანიზაცია იყო. ამისათვის მას განსაკუთრებით ყოველდღიურ ბრძოლაში უნდა მიეღო მონაწილეობა და განსაკუთრებით ყოველდღიური წვრილმან მატერიალურ ინტერესთა დაცვა უნდა ჰქონოდა სახეში. ფრანგები კი ინგლისელების მინიმალიზმს თავიანთ მაქსიმალიზმს, ე. ი. იდეალისთვის ან კითხვის ძირიანად გადაწყვეტისთვის ბრძოლას უყენებდნენ წინ. როგორი იყო ეს მაქსიმუმი ეს სულ სხვა კითხვაა. ცნობილია, რომ უმეტესი ნაწილი პირველ ფრანგ და ბელგიელ ინტერნაციონალისტთა პრუდონისტი იყო. ფრანგებმა როცა მიზანზე შეიქნა ლაპარაკი შემდეგი რეზოლიუცია წამოაყენეს:

„აღდგენილ იქნას გაცვლა-გამოცვლის ნიაღაგად ურთიერთობა, მოხდენილ იქნას რეფორმა პროფესიონალურ აღზრდის საქმეში. შემუშავებულ იქნას სწორი სტატისტიკა, რომ შესაძლო გახდეს აშორება თავიდან ერთ წარმოების დარგში მუშათა მეტობისა და მეორეში ნაკლებობისა. აი რა არის საჭირო თანამედროვე მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. იმ მდგომარეობის, რომელზედაც ყველა საყვედურს ამბობს და რომელსაც არ შეიძლება მოჰყვეს ხოლმე შედეგად კრიზისი. სანამ მწარმოებელ-მხმარებელ და არ მწარმოებელ-მხმარებელთ შორის თანამედროვე ურთიერთობა არსებობს ამ კრიზისების თავიდან აშორება შეუძლებელია. ამ იდეიათა განსახორციელებლად არის დაარსებული საერთაშორისო ამხანაგობა„.

ანარქისტები პრუდონისტები არ არიან, მათი ეკონომიური აზრები პრუდონიზმზე კიდევ უფრო შორს არის ვინემ მარქსიზმზე, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არ ვსცნობთ რევოლიუციაში აღნიშნულ აღსნას კითხვისას მართლა და კითხვის აღსნათ, მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ არ გვწამს პანაცეობა იმ კოოპერატივიზმისა, რომელსაც პრუდონისტები იცავდნენ ინტერნაციონალში, უნდა აღვიაროთ, რომ პრუდონისტებმა დიდი სამსახური გაუწიეს მუშებს არა იმ აზრების გამოქვეყნებით, რომელნიც ზემო მოყვანილ რეზოლიუციაში არიან მოქცეულნი, არამედ იმით, რომ მათ უჩვენეს მაქსიმუმის გზაზე, მათ გამოსთქვეს ის აზრი, რომ ორგანიზაციამ აზრად უნდა გაიხადოს ბრძოლა იმისთვის რაც იდეალად მიაჩნია, მათ აღნიშნეს საჭიროება არსებული წეს-წყობილების მარტო შესწორებისა კი არა, არამედ სრული შეცვლისა. ამგვარად ამ პირველ კონგრესზევე იჩინა თავი კითხვამ მაქსიმუმ-მინიმუმის შესახებ.

საზოგადოდ კანონისა, მეცნიერებისა და ხელოვნების შესახებ რომ ვლაპარაკობთ, არც კი შეიძლება ღრმა ანალიზით ვაჩვენოთ მათი დამოკიდებულების სიმრუდე, ისე შორი შორს სდგანან ისინი თავიანთი არსებითა და ერთი-მეორისათვის საჭიროებისა მხრით. ისტორიულად კი იგინი საშინელი მტერნი იყვნენ ერთმანეთისა. კანონის დამარცხება—მეცნიერებისა და ხელოვნებისა აღყვავება იქმნება.

სარწმუნოება?—ამას კიდევ უფრო ნაკლები კავშირი აქვს თავისი შინაარსით კანონთან, და როდესაც მათ შორის მორიგება და კავშირი მოხდება ხოლმე—კაცობრიობისთვის შავი სისხლის წვიმების დრო დგება ყოველთვის. რა აქვს ერთის ან რამდენისამე ძალ-მომრეობით დადგენილ კანონს საერთო ადამიანის წმიდათა-წმინდასთან, სარწმუნოებასთან, როდესაც **ადამიანს სწამს**, და ისე სწამს, რომ მსჯელობის ელემენტს არც კი ურევს ამ გრძნობაში, თუ ეს გრძნობა მართლა გულწრფელია? სარწმუნოება წარმოიშვა ადამიანის უმეცრებისაგან და შიშისაგან, სარწმუნოებრივი მითოლოგია, ჩვეულებანი და ზნენი—სხა და სხვა სოციალურ განწყობილებათაგან კანონებზედ გაცილებით ადრე,—კანონი კი, ვიმეორებთ, ერთი ადამიანის მიერ მეორეს დამონებიდამ არის წარმომდგარი, შეიძლება თვით სარწმუნოების დიდი ზედ-გავლენითაც კი, მაგრამ მათი არსება მაინც სულ სვაა. პირველი კაცის გულშია,—მეორე ჟანდარმის ხმალში, ჯალათის სახრჩობელაზედ და საპყრობილეებში.

ორგვარი შეიძლება იყოს კანონსა და სარწმუნოებას შორის განწყობილება: ან კანონი მისი მოკავშირეა,—ან მისი წინაღმდეგი. ერთიც და მეორეც დიდი უბედურებაა კაცობრიობისათვის.

პირველ შემთხვევაში ინკავიზიცია და წამება იდგამს ფეხს, დევნა მეცნიერებისა და ხელოვნებისა, დევნა ყოველი ახალი აზრისა და შემოქმედებისა,—ამას ამტკიცებს მთელი ისტორია გაბატონებული ეკკლესიისა. თვით ხასიათი სარწმუნოებისა ბუნებით მსჯელობის წინაღმდეგია—მას მიტომ აქვს ისეთი სატიკი და გამრყვნელი შთანაჩენი თვით ძირში, და როდესაც სახელმწიფოსთან კავშირის წყალობით იგი გაიფურჩქნება ხოლმე, მიითვისებს სახელმწიფოსა და გაბატონებულ კლასთა პრივილეგიებს, თვით ხდება მდევნელი, ბავშების ტვინთა გამალაყებელ სკოლებში, მძარცველი გარყვნილებისა და უზნეობის მატარებელი. კონსტანტინეს შემდეგ ქრისტიანობის ისტორია მისი გარყვნის ისტორია იყო, ინკვიზიციის დროს მისმა გარყვნილებამ და ვერაგობამ უმწვერვალეს ხარისხამდე მიაღწია, ეხლა კი ის დიდ ანტისოციალურ ელემენტად გამხდარი,—მესამე თავად იმ საზიზღარი ვეშაპისა, რომელსაც ეწოდეაა კაპიტალიზმი—სახელმწიფო-ეკლესია. დღეს მისს თავიდან მოშორებას მ.ეილი „მოწინავე საზოგადოებაც“ კი თხოულობს, ისე გადაამეტა თავის გარყვნილებაში ეკლესიამ, და ბევრგან უნდათ გაარღვიონ კავშირი სახელმწიფოს და ეკლესიას შუა, შეკრული საუკუნოთა განმავლობაში.

მეორე შემთხვევაში,—როდესაც კანონია ეკლესიის წინაღმდეგი,—იგივე უბედურება ხდება სოციალურ ცხოვრებაში: მოიგონეთ რომაელთა მიერ დევნა ქრისტიანობისა, მოიგონეთ მაჰმადიანთა მიერ დევნა სომხებისა, მოიგონეთ ურიათა მთელი საუკუნოების მარტიროლოგია და თქვენ თვალ წინ გარდიშლება იგივე სურათი, საშინელი სურათი ტანჯვისა და წვალებისა, იგივე სურათი წამებათა, საზიზღარ და გველურ-მომშხამელ დაწესებულებათა მიერ მიყენებული ადამიანთადამი.

მესამე შემთხვევა,—რომ სარწმუნოება იყოს კანონის წინაღმდეგი და მდევნელი—წარმოუდგენელია, რადგანაც ძლიერ, მოწყობილ წახელმწიფოში **კანონის** არსებობა ნიშნავს **ორგანიზაციას** რომელიც ყოვლის ზემოდა სდგას [illegible] შენობაში. თუ ეკლესიამ იმისთანა სიძლიერე [illegible] მოსპო სახელმწიფო ორგანიზაცია საერო ძალისა და თვით გაბატონდა, ეს იმას ნიშნავს, რომ თვით გახდა იგი სახელმწიფოდ, და უუსაშინელეს თეოკრატიულ სახელმწიფოდ. თუმცა ისტორიაში არ ვიცით არც ერთი მაგალითი, რომ სახელმწიფო ორგანიზაცია წმინდათ ყოფილიყოს შემდგარი ღვთის მინისტრებისაგან, რადგანაც მეომრები იყვნენ ძირითადი ელემენტები სახელმწიფოთა შედგენისა, და შემდეგ იკავშირებდენ ხოლმე სამღვდელოებას თავიანთ ანტისოციალური ფუნქციის აღსასრულებლად.

მაშასადამე კანონის მოსპობა მოსპობს ერთის მხრივ ეკკლესიის ბატონობასაც, როგორც შეკავშირებული ძალისას, მეორეს მხრით მოსპობს აგრეთვე კანონის მიერ სარწმუნოებათა დევნას;—ერთიც და მეორეც დიდი სოციალური რევოლიუციისაკენ დიდი ნაბიჯი იქმნება წარდგმული. მომავალ საზოგადოებაში კი თავისუფალი რწმენა აღკრძალული არ იქმნება კანონით; ამ შემთხვევაში კანონი, როგორც არა ვსთქვით, იგივე ანომალიებს გამოიწვევს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, როგორ ეხლა; მაგრამ მიუხედავად ამისა შესაძლებელია სამღვდელობამ მაინც ისევ ისარგებლოს არსებული დაწესებულებებით და ისევ ჩაჰყოს ცხვირი მთავრობის საქმეებში, რადგანაც რელიგიოზურ რწმენათა წარმომადგენელნი ისე ჩქარა არ მოისპობიან სოციალური რევოლიუციის შემდეგ, და მათი რწმენის აღკრძალვა კი არ შეიძლება, არ შეიძლება აგრეთვე მათ უფლებათა წართმევა. თუ კი სოციალისტურმა კანონმა აღკრძალა რწმენა,—მაშინ ხომ იგი მართლა ნამდვილ დესპოტიურ სახელმწიფოდ გადაიქცა! კაუცკი, მაგალითად ეკლესიის და სახელმწიფოს განშორებას ჰქადაგებს **სოციალური რევოლიუციის შემდეგ**... რასაც ეხლა საფრანგეთის ბურჟუაზია ანხორციელებს, თითქოს ეს იმას ნიშნავდეს, რომ სამღვდელობას წაერთვა ყოველივე უფლება მოქალაქისა, და კარგად ვიცით რას ნიშნავს ეს უფლება მოქალაქისა: **ეს არის უფლება,—მიიღო მონაწილეობა კანონმდებლობაში, რომელმაც უნდა განაგოს მთელი ხალხის ცხოვრება.** სამღვდელოებას რა უშლის შევიდეს საკანონმდებლო კრებში, თუ თვით კანონი არსებობს?

არა, მომავალ საზოგადოებაში თვით მეცნიერება-ინტეგრალური აღზრდა ყველა თავისუფალი დროის მქონე ადამიანთა, ბავშების მეცნიერულად განვითარება, მათი ჰორიზონტების გაფართოება,—ყველა ეს მოჰკლავს დოგმას, მოსპობს სამღვდელოებასა და დაასალიერებს ეკლესიებს, რომლებიც მალე საჯარო კრების სახლებად გადაიქცევიან. ცეცხლი და მახვილი კი არც საერო კანონისაგან და არც საეკლესიოსაგან არა არის რა გარდა სიმხეცისა და გარყვნილებისა.

კანონს მაშასადამე არც რელიგიოზურ რწმენათა წარმოშობასთან არა აქვს არავითარი საერთო. იგინი ერთი-მეორეზედ დაშორებული არიან შინაარსით, მათ დაწესებულებათა შორის განწყობილება კი იმნაირია, რომ მათი კავშირი ინკიზიციას ჰბადებს, მათი მტრობა—აგრეთვე აუცილებლად ინკვიზიციას. როგორც ანტისოციალური მოვლენანი, ერთნიც უნდა მოისპონ და მეორენიც.

განვიხილოთ ეხლა **ზნეობა.**

როგორ უმტვრევიათ თავი ფილოსოფოსებსა და მორალისტებს ამ ცნების გამოსარკვევად, როგორც თანასწორობაზედ, თავისუფლებაზედა და სხვა ამგვარ ცნებაზედ, და ვერ

გამოურკვევიათ სწორედ იმ მიზეზით, რომელნიც ზევით მოვიხსენიეთ: მათ უპირველესი ელემენტი ავიწყდებათ რომ დაისახონ გამოსავალ წერტილად,—ინდივიდი, ერთად ერთი ოდნობა, რომელზედაც უნდა მოახდინონ სოციოლოგიის მატემატიკოსებმა ოპერაცია, რადგანაც ინდივიდი ის ცვალებადი ოდნობა, რომელიც იცვლება, როგორც ფუნქცია, ათასგვარ ცვალებად ოდნობათა,—რომელიც ერთად ერთი საინტერესოა ჩვენთვის უკანასკნელ ანგარიშში.

ზნეობა ადამიანის თანშობილი თვისება არ არის, ან და იგი შეიძლება იყოს თანშობილი თვისება ადამიანის, რამდენადაც ადამიანს შეიძლება სოციალური ინსტინქტები მემკვიდრეობით ეცემოდეს მრავალ წარსულ შთამომავლობათაგან ადამიანის ცხოვრების მთელ განმავლობაში.

თავის თავად ზნეობა იმ განწყობილებათა ჯგუფზეა დამოკიდებული, რომელნიც არსებობენ დაუსაბამო დროიდან კაცთა შორის. ზნეობა შემუშავებულია სოციალურ ჩვეულებათა მიერ; ეს უკანასკნელნი კი, როგორც უკვე ბევრჯელა ვსთქვით, კანონს გარეშე სდგანან ლოლიკურადაც და ისტორიულადაც, ასე რომ მათ არავითარი კავშირი არა აქვსთ კანონთან.

ყოვლად შეუძლებელია ზნეობა გამოხატული იქმნან კანონის მიერ, რადგანაც მაშინ უნდა შესაძლებლად-ვყოთ, რომ კანონს შეუძლია მთელ სოციალურ ჩვეულებათა და ადამიანის წარსულისა და აწმყოს თავის მოყრა და გამოხატვა, რაიცა აბსურდია, როგორც შეუძლებელი, და უსარგებლო და უაზრო, —თუ შესაძლებელია.

ზნეობა არ შეიძლება განვითარდეს გარეშე სოციალური წრისა, გარეშე ადამიანთა შორის განწყობილებისა, გარეშე ადამიანთა და ბუნების შორის განწყობილებისა, გარეშე მათი ურთი-ერთზედ მოქმედებისა. ზნეობა ფუნქციაა აგრეთვე ადამიანის სოციალური ცხოვრების წესისა და ყველა იმ პირობათა, რომელთა ზედ-გავლენითაც იცვლება ადამიანის ცხოვრების წესი და მისი ბუნება.

ეგოიზმი და ალტრუიზმი, ცუდი და კარგი, სამართლიანი და უსამართლო,—ყოველივე ისენი იმგვარი ცნებანი არიან, რომელნიც პირდაპირ მიგვითითებენ ადამიანის სოციალურ ჩვეულებაზედ, ადამიანის საზოგადოებრივობაზე.—ადამიანის საზოგადოება, ნორმალურის ფუნქციის მქონე, უმაღლეს საზოგადოებრივობაზედ უნდა იყოს დამყარებული, ე. ი. ძალთ-ეკონომია უნდა იყოს პრინციპი ამ საზოგადოებისა, და თუ ამგვარად შევხედავთ საზოგადოებას, მაშინ ზნეობაც წარმოგვიდგება თვალის წინ, როგორც ყოველნაირი მოქმედება ადამიანისა, რომელიც არა შლის ძალთა ეკონომიის პრინციპს, არამედ სცდილობს განავითაროს იგი და ინდივიდი სრულიად უზრუნველ ჰყოს ყოველი მხრით, განსაზღვრულ საზოგადოებაში. კარგი კაცი, უკანასკნელი ანგარიშით, იმასა ჰქვიან, რომელიც ნაკლებ ტანჯვას მიაყენებს მოყვასს, ნაკლებ ძალას წაართმევს, ნაკლებად დასჩაგრავს, და მეტ ძალას მიუმატებს, მეტად დააკმაყოფილებს, მეტად განაფართოვებს მისი მოქმედების ასპარეზსა და მისს ნიჭს. ცუდი კაცი—წინაღმდეგი მოვლენაა. კარგი ის არის საზოგადოებაში—რაც ნაკლები ძალით ინდივიდებს მეტად დააკმაყოფილებს, ცუდი-კი,—რაც დიდი ძალის ფლანგვით ინდივიდებს ანადგურებს და შლის ძალთა ეკონომიის პრინციპს. ეგევე ითქმის უსამართლობაზედ და სამართლიანობაზედა და სხვ. კაცი არ შეიძლება არც ცუდი, არც კარგი, არც უსამართლო, არც სამართლიანი, არც ეგოისტი, არც ალტრუისტი, „დაბადებით,“ *)—იგი ნაყოფია განსაზღვრულ ძალთა მოქმედებისა მის წარსულში და აწმყოში, და ამ წრიდან ვერ გამოვა. შეიძლება ბუნებით რბილი კაცი უუსაშინელესი „დამნაშავე“ გამოდგეს ამა თუ იმ პირობათა ზედ-გავლენით,—და წინააღმდეგ. შეიძლება სამართლიანობის მოსურნემ უსამართლობა ჩაიდინოს, შეიძლება ეგოისტი ალტრუისტი იყოს, სწორედ თავის ეგოისტური ბუნების დასაკმაყოფილებლადაც,—და წინააღმდეგ, და სხვ. როგორიც არის საზოგადოებაში ინდივიდუალურ ძალთა განწყობილება,—იმგვარია ადამიანის მოქმედება, იგი მას ვერსად წაუვა. და თუ დღეს ვამბობთ, მაგალითად, რომ მუშათა კლასი **სამართლიანად** სთხოულობს რეფორმებს, იბრძვის სოციალური რევოლიუციისთვის, ეს სწორედ მიტომ, რომ მასშია ტენდენცია დაარსოს ნამდვილი საზოგადოება, ინდივიდუალურ ძალთა ეკონომიის პრინციპზედ, ბურჟუაზიას კი ჰსურს დაიცვას ძველი რეჟიმი, აგრეთვე მას სამართლიანი ჰგონია თვისი მისწრაფებანი, რადგანაც, თვისი კლასსის საკეთილდღეოდ რომ იცავს იგი ამავე პრინციპს, ჰგონია იგივე მთელი კაცობრიობისათვის არისო. ორთავე კლასს აქვს შემუშავებული თავიანთი სოციალური ჩვეულებანი, თავიანთი წარმოდგენანი ზნეობაზედ, და მათი მისწრაფებანიც ამ წარმოდგენებით განისაზღვრებიან.

აქედამ ის დასკვნა არ უნდა გამოვიყვანოთ რომ არის რაღაც ბურჟუაზიული მორალი და რაღაც პროლეტარული. მორალი ერთია,—საზოგადოებრივი ცხოვრების მიერ შემუშავებული მორალი, რომელიც მუდამ უჩურჩულებს საზოგადოებრივ სხეულებს, როგორც მთელ რამეთ, მოაწყონ ინდივიდის ცხოვრება ძალთა ეკონომიის პრინციპზედ, მაგრამ იგი იცვლება, როგორც ფუნქცია საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალფეროვანებისა და გვეჩვენება ჩვენ, როგორც მრავალფეროვანი სახის მქონე...

რა აქვს კანონს მაშასადამე საერთო ზნეობასთან? არაფერი. პირველის ხასიათი ჩვენ ვიცით მეორე კი როგორც ვხედავთ, დაუსაბამო დროიდან შემუშავებული წესია ინდივიდთა შორის განწყობილებათა, რომელიც იცვლება საზოგადოებაში ინდივიდუალურ ძალთა კომბინაციის ხასიათის ცვალებადობის მიხედვით: უთანასწორობა საზოგადოებაში მაგალითად, ზნეობას მრავალ-ფეროვან ხასიათს აძლევს სოციალურ ჯგუფთა მიხედვით,—არისტოტელი მონობას ამართლებდა.—კომმუნისტურ, ანარხიულ, თანასწორთა საზოგადოებაში ზნეობა მუდმივი, ყოველ მხრივი დაცვა იქმნება ინდივიდისა და ყველა მის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა; თანამედროვე და მომავალი კოლლექტივისტური კანონი კი, როგორც **წინააღმდეგი ინდივიდასა**, მაშასადამე წინააღმდეგია ზნეობისა, და სახელმწიფო დაწესებულებანი არიან დაწესებულებანი უზნეობისა. აილეთ სხვა არა იყოს-რა სამსჯავროს ფუნქცია,—დასჯა, რომელიც ნამდვილი უზნეობაა, რადგანაც არ არის იმისთანა დამნაშავე რომ არ გასწორდებოდეს,—არ არის თანშობილი დანაშაულობა, და დამნაშავის მოკვლა პირდაპირი გამოკლება ადამიანისა საზოგადოებიდამ იმ ადამიანთა მიერ,—მსაჯულთა მიერ,—რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვსთ რა დამნაშავესთან და ტყვილა ეჩხირებიან სხვის მოქმედებათა განსჯაში, მაშინ როდესაც თვით შეიძლება უარესი „დამნაშავენიც იყვნენ“. საპყრობილე-კი პირდაპირ უზნეობის დაწესებულებაა, რადგანაც მხოლოდ თავისუფლების დროს შეუძლია ადამიანს ზნეობრივი ცხოვრება,—იქონიებს რა განწყობილებას სხვა მრავალ ადამიანებთან,—(გარეშე ამ განწყბილებათა ზნეობა არ არსებობს)—დამწყვდეული კი მოცილებულია ზნეობას, უარესად ფუჭდება მასზედ უფრო „დამნაშავეთა“ ზედ-გავლენით.

*) ჩვენ აქ სიგიჟის მაგლითები არ გვაქვს სახეში. მათთვის ერთი საშუალებაა,—ექიმი და სავადმყოფო, და არა საპყრობილე).

მომავალ საზოგადოებაში კი, როცა საზოგადოება ნამდვილ ძალთა ეკონომიაზედ იქმნება დამყარებული, ზნეობაც ამგვარი საზოგადოების ფუნქცია იქმნება. ინტეგრალური აღზრდა და თავისუფალი შრომა განავითარებს ადამიანში სხვაგვარ, უმაღლეს სოციალურ ჩვეულებათა, რომლებიც მიმართული იქნებიან ინდივიდის ყოველი მხრის განვითარებისაკენ თავისუფალ საზოგადოებაში.

კანონის მოსპობა, როგორც ხელის შემშლელი მოვლენისა ამგვარ საზოგიდოების დამყარებისათვის, პირველი ნაბიჯი იქმნება ზნეობის განვითარებისაკენ, არა თუ კანონი და ზნეობა ერთია და ზნეობა შეუძლებელია უკანონოდ.

და ასე, დაუსრულებლად შეგვიძლია განვაგრძოთ ანალიზი, და იმ დასკვნამდის მივალთ, რომ **არა თუ შესაძლებელია-უკანონოდ ცხოვრება, არამედ საჭიროა, აუცილებელი.**

Bâton

---

## ეკონომიური მონიზმის კრიტიკა

მარქსიზმის გახრწნილი გვამის მარცხენა გვერდებიდან სოციალისტ რევოლიუციონერები გაჩნდა და მარჯვენადგან ს.-დემოკრატები; ს.-დემოკრატიის ამნაირისავე გვამის წვენიდგან იდეალიზმი დაიბადა (ბაკსი, შტერნი კ. შმიდტი, ბერნშტეინი) და ჩონჩხიდგან კი მაჰმადიანური ფატალიზმი (პლეხანოვი და სხვა). პლეხანოვმა ისახელა თავი და ცდილობს კიდევ უფრო სახელოვანი გახდეს სხვათა შორის. თავის თხუზულების დასაწყისში ეს პატივცემული და რიხიანი ბატონი ცდილობს გვიჩვენოს, რომ მარქსის წინანდელი ფილოსოფია ადამიანის ბუნებაზე იყო დამყარებული და ყველა პლეხანოვის და მარქსის უწინ დაბადებულნი უვიცები იყვნენ ფილოსოფიაში, შემდეგ კი როდესაც ამნაირად კაცობრიობამ დაჰკარგა ჭეშმარიტი სარწმუნოება, მაშინ ჰეგელმა, როგორც მამა ღმერთმა შეიბრალა კაცობრიობა და გამოგზავნა სული წმინდა ფეიერბახი, რომელმაც გერმანულ მეტაფიზიკის მუცელში ჩასახა მარქსი, რომელიც მოევლინა ქვეყანას ქრისტეს სახით ენგელსმა მარქსიზმი ემბაზიდგან ამოიყვანა და პლეხანოვი მისი იოანე „ბოლოსლოვი“ გახდა. ამ ნაირად კაცობრიობას დაავიწყეს **ადამიანის ბუნება** ე. ი. თავის ბუნება და როგორც პლეხანოვი ამბობს, ეკონომიური მოვლენა შეიქმნა საფუძველი ახალი სარწმუნოების, მარქზიზმისა. შემდეგ მარქსიზმის იოანე „ბოლოსლოვი“ დაასკვნის: „რა ღირებულება უნდა ჰქონდეს ამის შემდეგ კვლევების მეტათ თუ ნაკლებათ შრომის მოყვარულობას მოხერხებულ უკეთეს შესაძლებელ სოციალურ ორგანიზაციებზე? **არავითარი, ერთი სიტყვით** (littéralement) **არავითარი!** ამნაირად პლეხანოვი ცდილობს, ლოგიკურად უკიდურეს განვითარებამდე მიიყვანოს „მასწავლებლების“ ულოღიკო პრინციპები, მაგრამ ამასთანავე, მიჰყავს ისინი აბსურდამდი, მაშინ როდესაც მისი „მასწავლებლები“ ჩადიოდენ თუმცალა უფრო ულოგიკობას თავის პრინციპების ულოღიკო საფუძვლების უშორეს განვითარებაში და ამით უფრო უახლოვდებოდნენ ჭეშმარიტებას და მეცნიერებას. „მასწავლებლები“ ულოღიკო იყვნენ ჭეშმარიტებაში, შეგირდები უფრო ლოღიკური არიან აფსურდში. დიალექტიკა ბასრია უკუღმა და არა წაღმა. „მასწავლებლების“ შეცდომათა და ჭეშმარიტებათა დიალექტიკა, უკუღმართობა ერთგულმა შეგირდებმა აბსურდის დიალექტიკურ სინტეზად გადააქციეს. დოგმატიზმი აზროვნების თავისმკვლელობის მოტივი და ნიადაგია. სპირალი იხვევა იხვევა და ბოლოს წერტილად გადაიქცევა; დოგმატით შემოფარგლული გონებაც ტრიალებს ვიწრო მოჯადოებულ წრეში და ბოლოს გონებრივ გა[illegible], სილატაკეთ გადაიქცევა.

იგივე კლასსიკური განსაზღვრა და მთელი მარქსიზმი როგორც ეკონომიური მონიზმი ამბობს (განს. I წინად.), რომ ყველა სოციალურ ფაქტორებში უპირველესი, უმთავრესი არის ეკონომიური ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს ყველა სხვას, ის არის სტუკტურა დანარჩენი სუპერსტრუკტურა, ის არის შინაარსი და სხვა ფორმა. ის არის ერთად ერთი რეალური საფუძველი, ერთი მხრით არის მატერიალური ფაქტორი, მეორე მხრით იდეოლოგიური; პირველი განსაზღვრავს მეორეს. ცხადია, რომ აქ დაშორებული არიან დაუშორებელნი. არ არის უეჭველად ჭეშმარიტი ის აზრი, რომლითაც ერთი მოვლენა მეორე მოვლენის მიზეზია, იმიტომ რომ ერთი მეორეს დროში მისდევენ. დღე და ღამე ერთი მეორეს დროში უსწრობენ მაგრამ ერთი მეორეს მიზეზს არ წარმოადგენენ. არ შეიძლება ვთქვათ, რომ ცეზარის მოკვლა მიზეზი იყო მზის დაბნელების, რომელიც მოხდა დიკტატორის მოკვლის მეორე წელიწადს. ერთი მეორეს მიმდევრობა დროში საჭიროა მაგრამ არ კმარა. როდესაც ეკონომიური ექსპლუატაცია არსებობს, მაშინ ძალადობაც არის და როდესაც ძალადობაა, მაშინ ეკონომიური ექსპლუატაციაც არის, როდესაც აკტია, მაშინ პსიჰიკაც არის; როდესაც ეკონომიური აკტია, მაშან იდეოლოგიაც არის; როდესაც შინაარსი არის, ფორმაც არის. ყველა ამათი დაშორება და ერთი მეორეს საფუძვლად გახდა არ შეიძლება, რადგან ესენი ერთი და იგივე არიან, როგორც მატერიალური მექანიკა. თავის თავად ეკონომია, ისე როგორც მარქს ესმის, და წარმოება ბუნებაში არ არსებობენ. ბიოლოგიური მოვლენები მოკლებულნი არიან ეკონომიურ ურთი ერთობას და წარმოებას. წარმოება და ეკონომიური ურთიერთობა, როგორც ეს მარქსს ესმის არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს მწარმოებელი ადამიანი თავისი სოციალური ბუნებით, წარმოება სოციალური მოვლენა არის და არ შეიძლება მაშასადამე სოციალური ცხოვრების მიზეზად დაისახოს, რადგან მიზეზი შედეგს გარეშე უნდა იყოს. ბიოლოგია ნიადაგია, რომელზედაც უნდა დამყარდეს სოციოლოგია. როდესაც ბიოლოგიურ ევოლიუციის სერიას მოემატება ერთი ახალი წევრი, მაშინ ეს ბიოლოგიური სერია სოციალურ ევოლიუციის სერიად გადაიქცევა. მიზეზი ყოველთვის შედეგს გარეშე უნდა იყოს. ბიოლოგიური პრინციპი, არსებობა, თავდაცვა, **ბრძოლა არის—სოციოლოგიური** კი კავშირი **ამ ბრძოლაში. ეკონომია კი** სოციალურ მოვლენაში, როგორც ჩვენ გვესმის (მოძრაობა ნაკლები დაბრკოლებისკენ, სოციალური მექანიკა), ბრძოლა კი არ არის, **არამედ კავშირია,** სოციალური ბუნებრივი შერჩევაა, მინიმალურ ძალთა ხარჯვით მაქსიმალური წარმოებაა—ერთი მხრით minima minimorum, მეორე მხრით maxima maximorum. **ამნაირად ეკონომიური კავშირი** (როგორც ჩვენ გვესმის) **სოციოლოგიაში ნებაყოფლობითია, ბუნებრივია** და არ შეიცავს ექსპლოატაციას. ამნაირად იმას, რაც ბუნებრივი, ეკონომიურია, სოციალურად არ აქვს შედეგად ექსპლოატაცია. არამედ ექსპლოატაცია, ძალადობა არსებობს იქ სადაც ადამიანი არსებობს როგორც ცხოველი, ორგანიზმი, იქ სადაც ბუნებრივად, ეკონომიურ პრინციპად (მოძრაობა ნაკლები დაბრკოლებისკენ) ცნობილია ბიოლოგიური პრინციპი—ბრძოლა არსებობისათვის. ექსპლოატაცია სოციალურ ეკონომიის შედეგი კი არ არის, არამედ ბიოლოგიური ეკონომიის, ადამიანის, რო-

გორც ორგანიზმის. რამოდენათ ბიოლოგიური ევოლიუცია გაითქვიფება სოციალურ ევოლიუციაში, როგორც უმაღლეს საფეხურში, იმოდენად ბრძოლა არსებობისათვის მცირდება და მყარდება სოციალური ეკონომია, ძალთა თავისუფალი ასსოციაცია.

ეკონომიური მონიზმის ასბურდი იქნამდი მივიდა, რომ ზოგმა (მოლინარი) დაიწყო მტკიცება იმის, რომ პოლითეიზმიდგან მონოთეიზმში იმიტომ გადავიდა კაცობრიობა რადგან ერთი ღმერთი უფრო იაფი იყო ვინემ ბევრი ღმერთიო. საინტერესო იქნებოდა ვინმეს ეცადა პოლიტეიზმიდგან მონოთეიზმში, კათოლიციზმიდგან პროტესტანტიზმში გადასვლა ეკონომიურად აეხსნა. ამბობენ, რომ პოეტმა და მეცნიერმა იმისთვის რომ სწეროს, უნდა სჭამოსო! ეს იმას ჰგავს, რომ კაცმა სთქვას: იმისთვის, რომ მარქს-ენგელსი და კაუცკი-პლეხანოვი არსებულიყოს, საჭიროა ქვეყანა ან გეგელი და გერმანული მეტაფიზიკა უნდა არსებულიყოს. ცხადია რომ ადამიანმა უნდა სჭამოს იმიტომ რომ არსებობდეს, მაგრამ მისი არსებობა მარტო ჭამა არ არის, თორემ მაშინ ეკონომიკა რაღაც კაბალისტიური და სატანიური ფატუმი იქნებოდა. ჭამასთან ჭამის და მოთხოვნილებასთან მათი გრძნობაც არის. ჭამას შუა და აზროვნებას შუა არავითარი პარალელლიზმი არ არსებობს ისეთი, რომლითაც აზროვნება ეკონომიკის ოპერაცია იყოს. მეცნიერი არ სწერს **იმიტომ**, რომ სჭამოს, ან **იმისთვის** რომ სჭამოს და არც ისე სწერს როგორც სჭამს (აკი ფეირბახი ამბობდა, რომ ადამიანი არის ის რასაც ის სჭამსო), ჭამა რომ აზროვნებისთვის საჭიროა ცხადია, მაგრამ ინერვაცია, პსიჰიური აქტი რომ უკანასკნელ ანგარიშში პსიხიურიდგან ბიოლოგიურად და ბიოლოგიურიდგან არა ორგანულ ნივთიერების მექანად გადაიქცევა ცხადია; მაშასადამე თუ ნივთიერების და მის მოძრაობას შორის არავითირი მონიზმი დროში არ არსებობს, არ არსებობს არავითარი მონიზმი. ეკონომიური ურთიერთობის წარმოების და ინერვაციის შორის. ცხადია რომ მარქსიზმი ვარდება პეტიციო პრინციპში, როდესაც მათემატიკის და მუსიკის საკმარის საფუძვლად აღიარებს ეკონომიურ ფაქტორს, რადგან მეცნიერება **დრო და სივრცის ეკონომია არის** და თვით ეკონომიური მოვლენა არის (როგორც ჩვენ გვესმის). ამნაირად ეკონომიკა ეკონომიკით იქნებოდა განსაზღვრული და თავისგან განსხვავებული. ასევე მუსიკა, რომელიც **გრძნობათა ეკონომიას** წარმოადგენს, მათ მსვლელობას ნაკლები დაბრკოლებისაკენ. ამნაირად ეკონომიკა ისე როგორც მარქსს ესმის, არის თავის თავიც და სხვაც და წარმოადგენს ეკონომიურ მონიზმს, ultima ratio-ს მეტაფიზიკისას, უკანასკნელ კუნჭულს, სადაც მეტაფიზიკა აფარებს თავს.

ის დიდი შეცდომა, რომელიც უკანასკნელ ანგარიშში ჩვენ გვისახავს ეკონომიკას როგორც წინასწარს გონებისას, ეკონომიურ პროგრეს როგორც წინამორბედს გონებრივი პროგრესისას, არის ეფირად ქცეული და დიდათ შემსუბუქებული. მეტაფიზიკა, რომელიც მით უფრო გამძლე და ცხოველია, რამოდენაც შემსუბუქებული. დასახვა ეკონომიური ფაქტორის, როგორც მოქმედებათა მოტივის, არის **უტილიტარიზმი** და ფინალიზმი, ეს უკანასკნელი კი სუბიექტივური მიზეზზობრივობაა causa finalis; მეორე მხრით თუ ეკონომიური ფაქტორი შენობაა და დანარჩენი ამ შენობის აჩრდილი, თუ პირველი წინასწარი და ერთად ერთი რეალურია, მაშინ ის არის ობიექტიური მიზეზი—causa causalis. ამნაირად ეს ორი მეტაფიზიკური ხიმერა შეერთებულია ერთ სინტეტიურ ხიმერად—ეკონომიურ მონიზმათ- მეტაფიზიკა ისეთი [illegible], რომელიც დეტერმინისტულ სერიების წევრებს ისე უცვლის ადგილებს, რომ იმას, რაც წინ უნდა იყოს, უკან აყენებს და რაც უკან უნდა იყოს, წინ აყენებს, ან დაუშორებლებს აშორებს. ეკონომიური და წარმოებითი ურთიერთობა, (როგორც მარქს ესმის) როგორც ვთქვით არა თუ სადე არ არის, არამედ ბიოლოგიურიც არ არის ის წმინდათ სოციოლოგიური ფაქტორი არის ის რთული სოციალური აქტი არის და წინასწარი და სადე კი არა, არამედ ძლიერ რთული სოციალური აქტია, რადგან ის მისდევს მთელ რიგს, ანორგანული, ორგანიულ და პსიჰოლოგიურს, მეცნიერებას ეკონომიებისას,—ხელოვნებას ფილოსოფიას,პოლიტიკას. **წარმოება საცხოვრებელ საშვალებათა არის ადამიანის გონების აპლიკაცია**, ის არის აქტი და მაშასადამე როგორც უკვე ვთქვით, არ არის ისეთი არაფერი აქტში, რომელიც არ ყოფილიყოს აზრში და წინაალმდეგ. მთელი მსოფლიო წრე, გარემო, სამ დიდ ჯგუფებად შეგვიძლია გავხადოთ. პირველი, ასტრონომიული, კოსმიური წრე არის: ტელლურიული, გეოგრაფიული, ბიოლოგიური, კლიმატერიული; მეორე არის თვით ამ წრეში მოქმედი ორგანიზმი თავისი ბუნებით; მესამე არის სოციალური წრე: ეკონომიკა, სწავლა აღზრდა, ოჯახი, ზნეობა, პოლიტიკა. ეს უკანასკნელები რამდენათ შორს წინ არიან სერიაში, იმდენად რთული პლასტიკური და რთული არიან და რამოდენად ზევით ავიწევთ სერიაში იმოდენათ ნაკლებათ პლასტიკური და რთულია, მაგრამ როგორც ვხედავთ სოციალური მოვლენა შეზავებულია სხვა გამსაზღვრულ სერიებისგან: ბიოლოგიურიდგან, ფიზიკო-ქიმიურიდგან და ქიმიო-მექანიკურიდგან. მაშასადამე ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ რომ ყველა სოციალური მოვლენა ერთნაირად მატერიალურისტურია და მაშასადამე ეკონომიურია (როგორც მოძრაობა ნაკლები დაბრკოლებისაკენ) და არც ერთი სოციალური მოვლენა არ არის არც წმინდა აზრი არც წმინდა ფაქტი, არც წმინდათ ორგანული, არც წმინდა ან-ორგანული, არც წმინდათ პსიჰიური, ის ერთ და იმავე დროს, ან ორგანული და პსიჰიურიც არის. ეკონომიური აქტი, როგორც სოციალური ეკონომია, ურთიერთობა, როგორც წარმოება, მაქსიმალური ნაყოფის მინიმალური ძალთა ხარჯვით, არის ერთ და იმავე დროს რთული თხზულება ანორგანულ, ორგანულ, პსიჰიურ, სოციალურ, ანორგანო-ორგანულ ანორგანოპსიჰიურ, ანორგანო-სოციალურ, ორგანო-პსიჰიურ, ბიოლოგო-სოციალურ, პსიჰო-სოციალურ და სხვა მრავალ კომბინაციათა. ამის შემდეგ ჩვენ არ შეგვიძლია ეკონომიური მონიზმი შესაძლოთ ვცნოთ.

შ. გ.

რედაქტორ-გამომცემელი დ. ერისთავი-მდივნისა

ელექტრო-მბეჭდავი ამხანაგობა „შ რ ო მ ა“. ტფილისი მიხეილის ქუჩა, 65.